სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 29 ოქტომბერი 2003 №205 (1976) ფასი 50 თეთრი

საქართველო ავსტრალიიდან 1 ლელოთი და 28 ოლოლოთი მოდის



REUTERS სიდნეიდან

ჩაკარიასი ლოკომოტივის სახე



გოჩა კალანდაძის ფოტო

არველაძე ჩუმად წავიდა

გოჩა კალანდაძის ფოტო

ქართული ზღაპარი

მსოფლიოს თასზე ურუგვაის მაინც მოვუგებთ! და განა ურუგვაი სხვას ფიქრობდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცოტაც და, რიგის „სკონტო“ ლატვიის ჩემპიონი გახდება. იქაურებს დარჩენილი სამი ტური აღარც აინტერესებთ და „სკონტოს“ საჩემპიონო გვირგვინი კვირას, „ვენტსპილსთან“ სტუმრად 2:0 მოგებული მატჩის შემდეგვე „დაადგეს“. ამ მატჩში გამოირჩა ლევან კორღალიძე, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა და პენალტიც აიკიდა. საქართველოს ნაკრების კანდიდატიც თავს ჩემპიონად თვლის, თუმც დარჩენილ თამაშებში დღეს არსებული ხუთქულიანი უპირატესობის გაზრდაზეც ფიქრობს.

ლევან კორღალიძეს რიგაში გუშინ შევეხმიანეთ

კორღალიძეს ოქრო უნდა, ლატვია არა
მენთეშაშვილს ორივე უნდოდა

— „ვენტსპილსთან“ მოგებული თამაშის მერე ყველა ჩემპიონობას გვილოცავს. თითქმის ასეცაა, მაგრამ ჯობს დაველოდოთ. წინ კიდევ სამი ტურია და ფეხბურთში ზოგჯერ სასწაულებიც ხდება.

— როგორც ჩანს, ლატვიელებს ამ სასწაულის არ სჯერათ...

— ჰო, მართლაც ძნელი წარმოსადგენია ახლა ჩემპიონობის დაკარგვა. მართალია, სამი ტური დარჩა, მაგრამ ორი თამაში შინ გვაქვს, თანაც ძალიან სუსტ გუნდებთან. ამიტომ ყველა თვლის, რომ მხოლოდ ფორმალობა გვაშორებს მიზანთან.

— ბოლო წლებში „ვენტსპილსი“ დიდ წინააღმდეგობას გიწევდათ...

— წლეულს ჩვენ აშკარად ძლიერები ვიყავით და ჩემპიონობაც დავიმსახურეთ.

— ბოლო მატჩზე რას იტყვი?

— „ვენტსპილსისთვის“ ეს ალბათ გადამწყვეტი მატჩი იყო, მაგრამ ჩვენ არაფერი დავთმეთ. მიხარია, რომ გუნდს გოლით შევეწიე.

— სეზონი სადაცაა დასრულდება. რას აპირებ?

— ჯერ დამთავრდეს ჩემპიონატი. ოქროს მედლებსაც ოფიციალურად გავინაღდებთ და მომავალზე მერე დავფიქრდები. თბილისშიც ჩამოვალ ცოტა ხნით. რა ვიცი, ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია.

— „სკონტოდან“ წასვლაზე ისევ ფიქრობ?

— კი. აბა, ლატვიაში როდემდე ვითამაშო? მგონი, უკეთეს ჩემპიონატში ძალების მოსინჯვა ღირს. აქ მეტს ველარ მოვუმატებ, მაგრამ ჯერ რეალური არაფერია. „სკონტოზე“ სუსტ გუნდში არ გადავალ. კმაყოფილი ვიქნები, თუ კარიერას რუსეთში მაინც გავაგრძელებ, ოღონდ აუტსაიდერ გუნდთან მოლაპარაკებასაც კი არ დავიწყებ. არ მინდა, ისე გამოვიდეს, ვაის გავეყარო და უის შევეყარო. ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს. ამიტომაც არ ვჩქარობ. არ მინდა, საქმე სანანებლად გამიხდეს.

— „თანამეგობრობის თასზე“ „სკონტოს“ ჯგუფში თბილისის „დინამო“ მოხვდა...

— ეს მეც გავიგე. ჩვენებთან თამაში საინტერესო იქნება. რა ვიცი, ადრე ჩემი თანამემამულეების წინააღმდეგ სულ კარგად გამომდიოდა თამაში.

— ლატვიაში „დინამოს“ გაგონებამ რა რეაქცია გამოიწვია?

— სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, ამაზე ბევრი ლაპარაკობს. კლუბის წარმომადგენელმა წილისყრის დამთავრებისთანავე მითხრა, „დინამო“ ჩვენს ჯგუფში მოხვდაო. მეც ვუპასუხე, მაგას რა ჯობიამეთქი.

— ზურაბ მენთეშაშვილს ლატვიის ნაკრებში თამაში სურდა. რაიმე სიახლე ხომ არ არის ამასთან დაკავშირებით?

— ლატვიელები მაგრად მუშაობდნენ საამისოდ. „სკონტოს“ პრეზიდენტი გიუნტის ინდრიკსონი ამავე დროს ფედერაციის პრეზიდენტიცაა და ეს კაცი ყველაფერს აკეთებდა ზურას გადასაბირებლად. ამასწინათ უეფაშიც იყო სპეციალური ვიზიტით. ამ საკითხზე უეფას წარმომადგენლებს ესაუბრა, მაგრამ უარი მიილო. მენთეშაშვილს ლატვიის ნაკრებში თამაშის უფლება არ მისცეს.

ძახა შალამბერიძე

ინგლისი

პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი

კარდიფი 3:0 უოტფორდი

II დივიზიონი. XIII ტური

ბარნსლი 2:1 რეძსეში

ლიგის თასი. III ეტაპი

არსენალი 1:1დ.დ.(პენ.9:8, 1:1) როტერჰემი
ბლეკპული 1:3 კრ. პალასი
ბრისტოლი 0:3 საუთჰემპტონი
ლიდსი 2:3დ.დ.(1:1) მანჩესტერ იუნ.
ქუინზ პარკი 0:3 მანჩესტერ სიტი
ვულვერჰემპტონი 2:0 ბარნსლი
ბოლტონი 2:0 ჯილინგემი
რედინგი 1:0 ჰადერსფილდი

გერმანია

თასის 1/16 ფინალი

ზანკტ პაული 2:3დ.დ.(1:1) ლიუბეკი
ვოლფსბურგი (მ) 2:3 კიოლნი
ჰანზა 2:2დ.დ.(პენ.3:4, 1:1) პორტა
ვერდერი 3:1დ.დ.(1:1) ვოლფსბურგი
ბურგჰაუზენი 0:1 შტუტგარტი
ბაიერნი 1:1დ.დ.(პენ.7:6, 1:1) ნიურნბერგი

სლოვაკეთი

თასის 1/4 ფინალი საპასუხო მატჩები

ტრნავა 3:0 ჟილინა (1:3)
პრიევიძა 0:0 დუნაი სალა (0:1)

საფრანგეთი

თასის 1/16 ფინალი

აიაჩო 2:2დ.დ.(პენ.1:4, 1:1) ნიცა
ოსერი 1:0 რენი
მეცი 3:0 გენგამი
მონპელიე 0:1 კლერმონი
ნანტი 3:1დ.დ.(1:1) ნანსი
სტრასბური 0:1 ბორდო
ტრუა 2:1დ.დ.(0:0) კრეტეი
ლანსი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) ლიონი
სენტ ეტიენი 1:0 ბოვე
სედანი 2:0 ლორიანი

შოტლანდია

ლიგის თასი. III ეტაპი

აბერდინი 5:0 ბრეჩინი
ჰიბერნიანი 2:1 ქუინი
რეინჯერსი 6:0 ფორფარი
სენტ ჯონსტონი 3:2 დანფერმლაინი

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი IX ტური

სარაგოსა 0:0 რეალი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური

ბოჰემიანსი 3:1 დერი სიტი
შემროკი 2:4 შელბურნი

ჰოლანდია

ამსტელის თასი. III ეტაპი

ჰერენვენი 3:1 ტელსტარი
როზენდალი 1:0დ.დ.(0:0) გრონინგენი
ექსელსიორი 1:2 სპარტა
ვიტესი 4:0 ვოლენდამი
ბარონიე 0:2 ჰერაკლესი
ჰოეკი 2:0 ვეენდამი

ავსტრია

I დივიზიონი. XVII ტური

ავსტრია (ლ) 1:1 ბად ბლაიბერგი
უნტერზიბენბრიუნი 2:0 ტიროლი
ლეობენი 0:1 ლუსტენაუ
რიდი 2:2 ლინცერი
ვიორგლი 2:0 კაპფენბერგი

არგენტინა

აპერტურა. XII ტური

ნუევა ჩიკაგო 0:4 რასინგი

უკრაინა

თასის 1/8 ფინალი

დინამო 1:0 ვოლინი

იტალია

თასის II ეტაპი საპასუხო მატჩი

ემპოლი 1:1 ვენეცია (0:2)

იაშვილმა საშა შმაძო
სათასო ვნებანი და შტუტგარტის დახასიათება

დღეს გერმანიის თასის მერვედფინალში იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ ლევან კობიაშვილის „შალკეს“ მასპინძლობს, ალექსანდრე იაშვილს ამაზე ვესაუბრეთ.

— ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. საამსეზონოდ „ფრაიბურგის“ გეგმებში თასზე წარმატებულად გამოსვლაც შედის. „შალკესთან“ შინ რომ ვთამაშობთ, ეს ჩვენი პლუსია. მოკლედ, მერვედფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

— კარგი შანსი ხომ იმიტომაც გაქვთ, რომ „შალკე“ ამ სეზონში ერთობ სუსტად თამაშობს — მიმდინარე ბუნდესლიგაში მეთერთმეტე ადგილზეა, „ფრაიბურგი“ კი მეცხრეზე.

— თქმა არ უნდა, „შალკე“ ისე ვერ თამაშობს, რა მიზნებიც აქვს დასახული ამ სეზონში, თანაც რაც „ფრაიბურგში“ ვარ, გერმანიის თასის მეოთხედფინალში სამჯერ გავედით, ახლა კი ძალიან მინდა, უფრო წინ წავიდეთ.

— ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში „ვერდერთან“ შინ 2:4 წააგეთ და ორივე გოლი შენ გაიტანე. ფოლკერ ფინკემ პოზიცია შეგიცვალა და გამოკვეთილ ფორვარდად გათამაშა?

— არა, ჩვეულ ადგილას ვითამაშე. „ვერდერი“ ძლიერი გუნდია, მაგრამ ისეთი არა, პირველ ტაიმში 0:3 წაგვეგო. უბრალოდ, რაღაც უაზრო გოლები გავუშვით. „ფრაიბურგის“ ისტორიაში მანამდე არ მომხდარა, რომ გუნდს პირველ ტაიმში დიდი ანგარიშით წაეგოს — ბრემენელებმა რამდენჯერაც შემოგვიტიეს, იმდენი გაგვიტანეს.

— „ფრაიბურგის“ რამდენიმე ფეხბურთელი ბუნდესლიგაში თავის პირველ სეზონს თამაშობს — მათგან ყველაზე უფრო ზლატან ბაირამოვიჩი გამოირჩევა?

— ის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ გვყავს კიდევ საშა რიტერი, ვინც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია. ის ხან ნახევარდაცვაში თამაშობს, ხან მარჯვენა მცველად და ძირითადიდან ტობიას ვილის ამოგდებაც შეძლო.

— მთელი გერმანია ახლა „შტუტგარტზე“ ლაპარაკობს, რომელსაც ბუნდესლიგაში ჯერ არ წაუგია და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. რას იტყოდი „შტუტგარტზე“, რომელსაც მომდევნო ტურში ესტუმრებით?

— ძალიან ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით უკანა მცველები თამაშობენ მაგრად და ამიტომაცაა, მხოლოდ ერთი გოლი რომ გაუშვეს — მარსელო ბორდონი და ფერნანდუ მეირა. მთლიანად გუნდიც ერთობ შეკრული და მობილურია. „შტუტგარტის“ ძირითადის შვიდი ფეხბურთელი 20-22 წლისაა. გამოვყოფდი მარჯვენა მცველ ანდრეას ჰინკელს, რომელიც გერმანიის ეროვნული ნაკრების წევრია, კიდევ ფილიპ ლამს, ვინც „შტუტგარტმა“ „ბაიერნის“ მეორე გუნდიდან აიყვანა. ძალიან კარგად თამაშობს ბელარუსი ალექსანდრ გლებიც. შტუტგარტელებს გამოცდილი მოთამაშეებიც ჰყავთ, თუნდაც ზვონიმირ სოლდო.

— მოკლედ, „შალკესთან“ თამაშიდან სამი დღის შემდეგ კვლავ ძალიან ძნელი თამაში გელით — ძალების აღდგენას მოასწრებთ?

— მართლაც ძნელი იქნება „შტუტგარტის“ წინააღმდეგ თამაში. რაც შეეხება ძალების აღდგენას, კვირაში ორჯერ იშვიათად თუ გვიწევს თამაში და ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება.

დავით თავართქილაძე

სამი კვირა მალე გასულა

არველაძე ჩხაიძეს არ დამშვიდობებია

ხუთი მოგება, სამ ფრე, ხუთი წაგება და მე-6 ადგილი — ასეთია თბილისის „ლოკომოტივის“ სადღეისო მონაგარი მე-15 ეროვნულში.

ბოლო ტურში რკინიგზელებმა გორში „დილასთან“ 0:1 წააგეს. ნამატჩევს ანუ, გუშინ დილით „ლოკომოტივს“ მორიგი ვარჯიში ჰქონდა და სწორედ მაშინ განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ რევაზ არველაძემ — ის „ლოკომოტივს“ აღარ გაწვრთნის.

34 წლის არველაძემ, ვინც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიცაა, „ლოკომოტივი“ სეზონის დაწყების წინ ჩაიბარა. მან გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიყვნა, მაგრამ ხელახლა შექმნილი „ლოკომოტივი“ ისეთი არ გამოდგა, ბევრს რომ ეგონა — რკინიგზელები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზეექვსეულში დასამკვიდრებლად იბრძვიან.

გადამდგარი არველაძე ჯერ არ შეხვედრია კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს — მწვრთნელი ოდენ ფეხბურთელებს დაემშვიდობა, თუმც, როგორც თვითონ გვითხრა, გადაწყვეტილება საბოლოოა.

ძმათაგან უფროსი არველაძე „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს დაახლოებით სამი კვირის წინ შეხვდა, სანამ ჩვენი ნაკრებები რუსეთს გაემგზავრებოდნენ და გუნდიდან წასვლის სურვილი ამცნო, მაგრამ მაშინ ჩხაიძემ არ გაუშვა, „ლოკომოტივში“ მუშაობის გაგრძელება ურჩია.

დავით თავართქილაძე

გადგენ ქუთელაძის ფოტო

ლუის ცაკარიასი: მე თქვენ დაგიმტკიცებთ...



ვაჩაგ დულუნჯაშვილის ფოტო

ლოკომოტივს მწვრთნელი გამზადებული ჰყავს

თბილისის „ლოკომოტივს“ რევაზ არველაძე მწვრთნელად 13 ტური გაჰყვა და გუშინ დილით ხელმძღვანელებს გადადგომის თაობაზე განცხადება დაუწერა. რკინიგზის დეპარტამენტის შეფობამ არველაძის თხოვნა დააკმაყოფილა და ერთი-ორი საათის შემდეგ მისი შემცვლელიც მოძებნა. თუმც რაღა მოძებნა, როცა ძველი ნაცნობი, პერუელი ლუის ცაკარიასი რკინიგზელებს აქვე ეგულებოდათ.

არველაძის ადგილი რომ განთავისუფლდა, „ლოკომოტივმა“ მწვრთნელობა იმ კაცს შესთავაზა, რომელიც გუნდს წინა სეზონის დასრულებისთანავე გაშორდა. ცაკარიასი თბილისიდან წასვლის შემდეგ გერმანიაში საქმიანობდა, თუმც რკინიგზელებთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. ხელმეორედ პერუელი ერთი კვირის წინ გვესტუმრა, რისთვის, არ დაუკონკრეტებია, თუმც ახლა, როცა რკინიგზის დეპარტამენტის უფროსობამ მწვრთნელად დააბრუნა, ამბობს, რომ...

— რევაზ არველაძის გუნდიდან წასვლა და ჩემი აქ ყოფნა, უბრალოდ, დამთხვევაა. თბილისში სხვა საქმისთვის ჩამოვედი. „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემია ჩამოყალიბების პროცესშია და სწორედ ამასთან დაკავშირებით გესტუმრეთ. არც კი მიფიქრია, „ლოკომოტივს“ თუ ხელმეორედ ჩავიბარებდი.

— არ მიფიქრიაო, ამბობთ, თუმც ფაქტია, „ლოკომოტივის“ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდით...

— შემოთავაზება დილით მივიღე. ხელმძღვანელებმა მითხრეს, არველაძე წავიდა და გვსურს, გუნდი შენ ჩაიბაროო. რაკი მაინც თბილისში ვიყავი, თანხმობაც მაშინვე გავაცხადე. თანაც „ლოკომოტივი“ ხომ ჩემთვის უცხო გუნდი არ არის. ახლა ამბიციამომატებული ვარ, ჩემი სამწვრთნელო შესაძლებლობები უნდა დავამტკიცო.

— ამ ერთ კვირაში ჩემპიონატის მატჩებს ესწრებოდით. როგორ ფიქრობთ, თქვენი აქ არყოფნის პერიოდში ქართულ ფეხბურთში რამე შეიცვალა?

— ბევრიც არაფერი. გუნდებს მწვრთნელები შეცვლიათ, ქუთაისელებს ბრაზილიელები მიუწვეევიათ, კარნევალი გაუთავისუფლებიათ...

— „ლოკომოტივში“ რა ცვლილება შენიშნეთ?

— ბევრი ახალი ფეხბურთელია. ბიჭებს ხვალ შევხვდები, გავიცნობ, ჩემს გეგმებზე დაველაპარაკები, ვივარჯიშებთ და დანარჩენს მერე გეტყვით.

— როცა პირველად ჩამოხვედით, რამდენიმე უცხოელიც ჩამოიყვანეთ. ახლაც აპირებთ ლეგიონერების მოწვევას?

— ჯერ არ ვიცი, გუნდს რომელ სათამაშო რგოლში სჭირდება გაძლიერება. ფეხბურთელთა შესაძლებლობებს კარგად არ ვიცნობ. ცოტა ხანში გუნდის პოტენციალში გავერკვევი და შესაბამისად გაძლიერებაზეც ვიზრუნებთ. ამ ეტაპზე „ლოკომოტივი“ დაკომპლექტებულია, თუმც ფეხბურთზე ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. განვსხვავდებით მე და არველაძეც. ახლა გუნდში კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ არ ვიცი, ჩემს მოთხოვნებს როგორ დააკმაყოფილებენ.

— „ლოკომოტივს“ ცუდად აქვს საქმე, შესაძლოა, ზეექვსეულის მიღმა დარჩეს. არ გეშინიათ ასეთ დროს გუნდის ჩაბარება?

— ამ გუნდს ზეექვსეულში მოხვედრის ძალა ნამდვილად აქვს. ახლა ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის. თანაც ექვსეულში რაც შეიძლება მეტი ქულით უნდა შევიდეთ. საშიში კი არაფერია. როგორც ვთქვი, ახლა უფრო ამბიციური ვარ და მსურს, ჩემმა გუნდმა თავისი სიძლიერე დაამტკიცოს.

— ამბიცია მომემატაო, ამბობთ, ალბათ იმიტომ, რომ შარშან გუნდიდან გაგიშვეს და ახლა ისევ დაგაბრუნეს...

— ჩემი კონტრაქტი „ლოკომოტივთან“ სეზონის ბოლოს დამთავრდა და გუნდის ხელმძღვანელებმა გაგრძელება აღარ ისურვეს. წავედი გერმანიაში. დაბრუნებულს კი, ბუნებრივია, ამბიცია უწინდელზე მეტი უნდა მქონდეს.

— „ლოკომოტივთან“ პირობებზე უკვე შეთანხმდით?

— ჯერ მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს, თუმც დარწმუნებული ვარ, არაფერი შეიცვლება. დეტალებზე მოსალაპარაკებლად აკაკი ჩხაიძეს საღამოს შევხვდები. ისე კი, რაც მთავარია, უკვე გარკვეული გვაქვს.

კოგა ინასარიძე

ვაჩაგ დულუნჯაშვილის ფოტო

ლუის ცაკარიასს ძველი „ლოკომოტივიდან“ ბევრიც აღარავინ დახვდება

პროფლიგის პრეზიდენტული პრეზენტაცია

შევარდნაძე კაფეში დაპატიჟეს

ხვალ კაფე „მსოფლიო სპორტი“ მნიშვნელოვან სტუმრებს ელის — იქ საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგის პრეზენტაცია გაიმართება.

პროფლიგა საამსეზონოდ შეიქმნა და მე-15 ეროვნულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს. თუმც ეს გარდამავალი ეტაპია და პროფესიული ლიგა გაისად ალბათ დამოუკიდებლად ჩაატარებს ეროვნულ ჩემპიონატს და თასის გათამაშებას

ახლა კი პრეზენტაციის ჯერია, რომელზეც მხოლოდ საფეხბურთო და სპორტული სამყარო როდი შეიკრიბება — „მსოფლიო სპორტს“ თვით ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ესტუმრებიან.

დავით თავართქილაძე

ევროპის 17-ნლამდელთა ჩემპიონატი
თურქეთი. 4-8 ნოემბერი

უელსი ბაქო-ჯეიჰანის პროექტში



ვაჩაგ დულუნჯაშვილის ფოტო

გელა გომელაური

გუშინ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრა. გელა გომელაურის გუნდი 4 ნოემბერს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში ჩაებმება. მერვე ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები მასპინძელი თურქეთი, უელსი და აზერბაიჯანი არიან.

ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის, თუმც პირდაპირ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდება. ამისთვის მათ კიდევ ერთი ჯგუფური ეტაპის გავლა მოუწევთ.

აქვე ჩვენი ჯგუფის კალენდარს გაგაცნობთ:

I ტური, 4 ნოემბერი
საქართველო — უელსი
თურქეთი — აზერბაიჯანი

II ტური, 6 ნოემბერი
უელსი — თურქეთი
საქართველო — აზერბაიჯანი

III ტური, 8 ნოემბერი
აზერბაიჯანი — უელსი
თურქეთი — საქართველო

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

14 ტური

ჩვენი ტრანსპორტი კარუსელია

ქართული ფეხბურთი მე-15 წრეზე ტრიალებს

ცხელი ამბებით ასე დახუნძლული ჩემპიონატი ალბათ არასოდეს გვქონია. თითქმის ყოველ კვირას მწვრთნელები იცვლებიან. ზოგს უშვებენ, ზოგი ნებით მიდის. ხმაური დიდია, მაგრამ გაძვალტყავებულ ფეხბურთს ნაბიჯი წინ არ გადაუდგამს, რია-რიას უმეტესად სკანდალები იწვევს, რომელიც არასოდეს გვაკლდა. ერთნი მსაჯობას უჩივიან, მეორენი ფეხბურთელებს არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ. ფეხბურთელები თავის მხრივ უფულობაზე და პირობებზე წუწუნებენ, მსაჯები გაანჩხლებული მწვრთნელებისგან თავს იცავენ და ამ დროს მოედანზე რა ხდება? ისევ ის უხარისხო ბურთაობა, რომელიც მხოლოდ ევროთასებიდან ქართული გუნდების გავარდნის გარანტიას გვაძლევს.

აგერ, მორიგი ტური მიილია. ისევ ხმაური: ფოთის „კოლხეთიდან" სამი ფეხბურთელი უდისციპლინობის გამო გაუშვეს. რევაზ არველაძეს „ლოკომოტივში" საქმე არ აეწყო და ახლა ახალგაზრდულ ნაკრებთან განმარტოვდა. თასების მფლობელთა თასის მფლობელმა ოთარ გაბელიამ ზურაბ ანიაშვილს მსაჯობა დაუწუნა, ანიაშვილი კი ბრალდებას უარყოფს. ხომ ნაცნობია თქვენთვის ეს ყველაფერი? მწვრთნელის გუნდიდან წასვლა, ფეხბურთელისა და მწვრთნელის კონფლიქტი, მსაჯისა და მწვრთნელის ტაბილსიტყვაობა? ქართული კარუსელი ტრიალებს, ევროპა წინ მიდის

ზურაბ ანიაშვილი

მიდი, ბურთი გააგორე

მა გორელებმა აღარც დავუსტვინოთ?!

გუშინწინდელ „სიონი" — „თბილისის" მატჩს (1:1) გვარიანი ხმაური მოჰყვა. ბოლნისელთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ ვერმოგება მსაჯებს დააბრალა და ნამატჩევს მათ მოედანზე ლანძღვა-გინებით შეუვარდა. ვითარება მალევე განიმუხტა, თუმც ოთარ გაბელიამ უკმაყოფილება პრესკონფერენციაზეც გამოხატა. „არ მინდოდა, ანიაშვილს რომ ემსაჯა. ნებისმიერი დაენიშნათ მის მაგივრად და ასე არ გავიწირებოდით. ანიაშვილი გორელია და კარგადაც იმუშავა დღეს თავისი ქალაქის გუნდისთვის. „დილა" ხომ ჩვენი კონკურენტია"... ეს „სიონის" მწვრთნელის სიტყვებია.

ცხადია, თავად *ზურაბ ანიაშვილის* აზრიც გვაინტერესებდა და მას გუშინ შევეხმიანეთ:

— ოთარ გაბელიას დიდ პატივს ვცემ და ცუდის თქმას არ ვაპირებ. მართალია, ის აღშფოთებული იყო მატჩის შემდეგ, მაგრამ ჩემს სიმართლეში ახლაც დარწმუნებული ვარ. ისე, ძალიან მაინტერესებს, რადგან გორელი ვარ, ესე იგი, არც ერთი თამაში აღარ უნდა ვიმსაჯო?! იგივეს თქმა ხომ ნებისმიერ სხვა გუნდს შეუძლია, ვინც ზედა ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვის? „დილა" კარგად თუ თამაშობს, ეს მე ხელს რატომ უნდა მიშლიდეს?! მე ჩემი საქმე მაქვს და იმას ვაკეთებ. „დილას" არანაირად არ დავხმარებივარ. ამ ლოგიკით გამოდის, რომ მსაჯობას თავი უნდა დავანებო.

რაც შეეხება სადავო მომენტებს, ორჯერვე ახლოს ვიყავი და არანაირი პენალტი არ ყოფილა. სამ მეტრში ვიდექი და იმ მომენტებს ჩემზე უკეთ ვერავინ დაინახავდა.

კახა შალამბერიძე

ტყებუჩავა სასჯელაღსრულების ადგილიდან დაბრუნდა

კოლხეთში საქმეები გაირჩა



ფოთის „კოლხეთი" სამ წამყვან ფეხბურთელს შეელია — ვალერი გაგუა, დავით გოდერძიშვილი და თემურ ტუღუში მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ დაითხოვა. მიზეზი ვარჯიშებზე გამოუცხადებლობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ანუ არაპროფესიონალიზმი

— ადრე ვიცოდი, რომ სამივეს ტრავმა აწუხებდა. ახლა კი ხან რას მოიმიზეზებდნენ და ხან რას — გვითხრა გუშინ *გია ტყებუჩავამ* — სამივემ გუნდი დაალალატა. იცოდნენ რა არასახარბიელო მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ... მათ უპირველეს ყოვლისა ბიჭებს უღალატეს, თავიანთ თანაგუნდელებს და მეგობრებს.

კოლხთა თავკაცს გუნდის საერთო ჩავარდნაზე დავეკითხეთ, ფოთელებს ხომ ასეთი საშინელი სეზონი ჯერ არ ჰქონიათ. „კოლხეთი" ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია.

— რა ვთქვა, არც ვიცი. უპირველესი მიზეზი მოძალებული ტრავმიანობაა. ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამი არ გვაქვს. ახლაც, „დინამოსთან", თადარიგში მხოლოდ მეკარე ჩემია იყო. თუ გახსოვთ, იმავ ჩემიამ ერთხელ წინაც ითამაშა „სიონთან" საშინაო მატჩში.

გია ტყებუჩავამ „კოლხეთის" კრიზისის სხვა მიზეზიც დაასახელა...

— არ ვიცი, შეგნებულად კეთდება თუ რა, მაგრამ ფაქტია, მსაჯები მხოლოდ ჩვენ საზიანოდ ცდებიან. რატომ არ შეიძლება, იგივე მსაჯი ჩვენ სასარგებლოდაც შეცდეს? მესმის, მსაჯიც ხომ ადამიანია და შეუცდომელიც არავინაა, მაგრამ... მეუბნებიან, „ბათუმთან" მატჩის არბიტრი ფანიაშვილი დავსაჯეთო. მე რა ამით? გამიხარდა მისი დასჯა თუ რა... დებიუტშივე, მე-10 წუთზევე, ათასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა — წავაგეთ. ვინ არ დამარცხებულა, მაგრამ ანგარიში რომ „კოლხეთს" წაეყვანა, სხვა თამაში წავიდოდა და სხვა შედეგი დაფიქსირდებოდა.

სეზონის წინ დასახულ მიზანს — ექვსეულში მოხვედრა — წყალი შეუდგა...

— ცხადია, გაგვიჭირდება, თუმც ვფიქრობ, დაკარგული ჯერ არაფერია. გამოკვეთილი მხოლოდ ოთხი გუნდია, დანარჩენი ორი ადგილისთვის მაგარი ბრძოლა გახურდება.

თუ „კოლხეთი" მაინც ექვსეულს მიღმა დარჩა...

— ტრაგედია ნამდვილად არ იქნება და ერთიც ვიცი, ლიგიდან არ გავვარდებით. იანვარში გავძლიერდებით. უცხოურ შეკრებებს მოვაწყობთ და სათანადოდ მოვემზადებით.

ერთი სიტყვით, გია ტყებუჩავამ ასე აგვიხსნა ყოველივე. მწვრთნელმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა თემურ მალანიასთან და ზაველ ლაღანიძესთან ერთად. ტყებუჩავა 31 ოქტომბრის ტურის მატჩს ქუთაისის „ტორპედოსთან" „ფაზისის" სათადარიგოთა სკამზე შეხვდება, მალანია და ლაღანიძე კი ძირითად თერთმეტეულში.

გიორგი მუზაკიძე

ბომბარდირები	
10 - დავითაშვილი	თბილისი
8 - ახალაია	დინამო
7 - გოცირიძე	ვიტ ჯორჯია
გონჩაროვი	სიონი
კაკალაძე	ბათუმი
შ. გოჩაშვილი	ვიტ ჯორჯია
6 - ა. კაიდარაშვილი	დილა
5 - მელქაძე	დინამო
დარასელია	დინამო
გაბედავა	მერცხალი
ალექსიძე	დინამო
გაბისკირია	სიონი
4 - კოკუაშვილი	დილა
ჩილვინაძე	მცხეთა
ჭინჭარაული	მერცხალი
სირაძე	ლოკომოტივი
მიქუჩაძე	თბილისი



		სულ							შინ							სტუმრად						
№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	დინამო	14	9	3	2	32:6	26	30	7	5	2	0	21:1	20	17	7	4	1	2	11:5	6	13
2	ვიტ ჯორჯია	13	8	4	1	24:7	17	28	7	5	2	0	17:3	14	17	6	3	2	1	7:4	3	11
3	სიონი	14	7	6	1	17:8	9	27	7	5	2	0	12:3	9	17	7	2	4	1	5:5	0	10
4	დილა	14	8	2	4	18:11	7	26	7	6	1	0	11:2	9	19	7	2	1	4	7:9	-2	7
5	თბილისი	13	5	3	5	23:16	7	18	6	4	1	1	15:7	8	13	7	1	2	4	8:9	-1	5
6	ლოკომოტივი	13	5	3	5	18:15	3	18	7	4	2	1	11:4	7	14	6	1	1	4	7:11	-4	4
7	მცხეთა	14	5	2	7	17:30	-13	17	7	4	1	2	13:11	2	13	7	1	1	5	4:19	-15	4
8	ბათუმი	13	5	1	7	15:14	1	16	6	3	0	3	8:5	3	9	7	2	1	4	7:9	-2	7
9	ტორპედო	14	4	4	6	11:16	-5	16	7	4	2	1	10:5	5	14	7	0	2	5	1:11	-10	2
10	კოლხეთი	14	3	3	8	9:19	-10	12	7	2	2	3	7:10	-3	8	7	1	1	5	2:9	-7	4
11	სპარტაკი	14	2	4	8	8:35	-27	10	7	1	2	4	4:13	-9	5	7	1	2	4	4:22	-18	5
12	მერცხალი	14	2	3	9	14:29	-15	9	7	1	2	4	5:8	-3	5	7	1	1	5	9:21	-12	4

საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

11 ტური

მილანი 2:1 ლოკომოტივი 2

მეტალურგი 0:0 გორდა

სამგურალი 1:0 ჩიხურა

ვიტ ჯორჯია-მცხ. 1:0 თსუ

დინამო 2 2:2 ქობულეთი

გურია 3:2 ცხინვალი

ლუკა 4:0 ივერია

ქობულეთი	10	7	1	2	16:6	22
სამგურალი	11	6	4	1	14:6	22
ოლიმპი	9	6	3	0	18:7	21
გორდა	11	5	3	3	12:10	18
ცხინვალი	10	4	4	2	16:7	16
ჩიხურა	11	5	0	6	13:13	15
მილანი	11	4	3	4	7:8	15
თსუ	11	4	2	5	18:12	14
გურია	11	4	2	5	12:14	14
ვიტ ჯორჯია-მცხ.	11	3	5	3	7:8	14
ლუკა	11	4	1	6	11:15	13
ლოკომოტივი 2	11	4	1	6	8:13	13
დინამო 2	11	3	4	4	17:15	13
ამერი	11	3	4	4	14:12	13
ივერია	11	3	4	4	8:17	13
მეტალურგი	11	0	1	10	4:32	1

ლიდსის ანგარიში: 8 ქულა, 80 მილიონი ვალი



ჯონ მაკენზი

როგორც ჩანს, პიტერ რიდი შეუსრულებელი მისიის წინაშე დგას. გავიხსენოთ და განვმარტოთ: პიტერ რიდი „ლიდს იუნაიტედის“ მენეჯერია, ხოლო მისია, რომლის შესრულებაშიც ინგლისელებს ეჭვი ეპარებათ, გუნდის პრემიერლიგაში დარჩენაა.

ცხრილს თუ გადავხედავთ, „ლიდსს“ რვა ქულით ფსკერზე, მეცხრამეტე ადგილზე აღმოვაჩენთ. ერთი მხრივ, გავარდნაზე ლაპარაკი ნაადრევია, რაკი სეზონის დასრულებამდე კიდევ 28 ტურია. მაგრამ მეორე მხრივ, ეჭვის საბაბი ნაღდად არსებობს.

„ლიდსმა“ ბოლო ექვსი პრემიერლიგური შეხვედრიდან ხუთი წააგო და რა უნდა მოხდეს, რომ მომდევნო უქმეებზე მეექვსე მარცხიც არ მიაყოლოს — „ლიდსი“ „არსენალს“ ხვდება. მთავარი კი ალბათ, მაინც ის არის, რომ კლუბი უკვე რა ხანია, უსახსრობით სულს ღაფავს და საშველი არსაიდან ჩანს.

გუშინ კლუბის თავმჯდომარემ, დოქტორმა ჯონ მაკენზიმ კლუბის აქციონერებს ფრიად არასასიამოვნო ამბავი ამცნო: „ლიდსის“ ვალები 80 მილიონ გირვანქაზე მეტია. პრემიერლიგის კლუბებს ვალები როგორ არა აქვთ, მაგრამ ამდენი — არავის. სხვათა შორის, ამ ვალებში შედის ძველი მენეჯერის, ტერი ვენეიბლზისთის ჯერ კიდევ შარშან გასასტუმრებელი ერთი მილიონი გირვანქა და ძველი თავმჯდომარისთვის ასევე შარშან მისაცემი 383 ათასი. პროფესორმა მაკენზიმ კი თქვა, ამ სეზონში ხარჯებს ხუთი მილიონით შევამცირებთო, მაგრამ ელემენტარული არითმეტიკა გვიჩვენებს, რომ ეს საქმეს იოტისოდენადაც ვერ უშველის.

არადა, „ლიდსი“ ის კლუბია, ორიოდე წლის წინ ვარსკვლავებთან შეთამაშებას რომ ლამობდა.

სავალალო ფინანსური მდგომარეობა, ცხადია, თამაშზეც აისახება. ცუდი თამაშისთვის კი პასუხს, მოგეხსენებათ, მწვრთნელს სთხოვენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პიტერ რიდის მისიის შესრულებას არ აწინასწარმეტყველებენ.


პიტერ რიდი

„ფეხბურთის ინდუსტრია ისეთი რამ არის, სადაც შედეგს ქულებით ანგარიშობენ — თქვა რიდმა — ჩვენ კი ათ შეხვედრაში მხოლოდ რვა ქულის დაგროვება შევძელით, რაც საკმარისი არაა.“

მაგრამ რიდის მოხსნას არავინ ჩქარობს. მიზეზი ალბათ ისაა, რომ თამაშების ზედიზედ წაგების მიუხედავად, თავად თამაშის ხარისხი არც ისე ცუდია. ყოველ შემთხვევაში, რიდი თავის [illegible]ამდე არმოხსნას ამით ხსნის.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, რომ „ლიდსს“ პიტერ რიდის მენეჯერობით მხოლოდ 1[illegible] თამაში აქვს ჩატარებული.

გოჩა სუმბაძე

მანჩესტერის კონტრშეტევა ფერდინანდის დასაცავად

რიო ფერდინანდის დოპინგ-ისტორია კარგა ხანია ინგლისის საფეხბურთო ამბავთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მიაქციეთ ყურადღება, ფერდინანდის კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედს“, აქამდე კომენტარი არ ეთქვა. ახლა ამბობენ, რომ „იუნაიტედი“ სერიოზული კონტრშეტევისთვის ემზადება და ამ კონტრშეტევის ობიექტი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია იქნება.

„ფეხბურთის ასოციაციის მოქმედებებს თუ დავაკვირდებით, ბევრ საინტერესო დეტალს ვიპოვით. შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ რიოს წინააღმდეგ კარგა ხანია საგანგებოდ ემზადებოდნენ“ — განაცხადა კლუბის მავანმა წარმომადგენელმა.

ირკვევა ასეთი რამ: „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეჭვი აქვს, რომ ფეხბურთის ასოციაცია რიო ფერდინანდზე თავდასხმამდე საგანგებოდ მუშაობდა მისი კლუბის რეპუტაციის შესალახად. მოგეხსენებათ, ფერდინანდს ორი კვირის წინ წინასწარი, ორსაათიანი მოსმენა თუ საქმის გარჩევა უკვე ჩაუტარეს, დღეს კი უფრო სერიოზულ „სასამართლოს“ ელოდებიან. მოგეხსენებათ ისიც, რომ თუ ფეხბურთელს გაამტყუნებენ (და როგორც ჩანს, სწორედ ეს სურთ), შეუძლიათ მაქსიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ. საგულისხმოა, რომ „ბრალმდებლებს“ ფერდინანდის გულმავიწყობისა (ფეხბურთელი 23 სექტემბერს გაიფრთხილეს, რომ ვარჯიშის შემდეგ დოპინგ-ტესტი უნდა გაევლოთ, მან კი ქუდი დაიხურა და შინისკენ გაემართა) ნაკლებად სწამთ და უფრო ტესტისთვის თავის არიდებაზე საუბრობენ.

პაპუნა კედია

ინგლისს თურქეთში ჩხუბისთვის 50 ათასი გირვანქის გადახდა ემუქრება. შეგახსენებთ რაზეცაა ლაპარაკი: 11 ოქტომბერს, სტამბოლში, ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა ევრო 2004-ის შესარჩევი შეხვედრის შესვენებისას გუნდებმა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ორმოცდაათკაციანი ჩხუბი ატეხეს

50 ათასი 50-კაციანისთვის

უეფას მიაჩნია, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს, თავისი ფეხბურთელების ალაგმვა და გაკონტროლება მართებდა. სამაგიეროდ, პირადად ვერც ერთ ფეხბუროელს ვერ დასჯიან, რადგან კონკრეტული და ცხადი სამხილი არავის წინააღმდეგ არ არის.

ასეთმა ცნობამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფები გააბარა, ვინაიდან ისინი ემილ ჰესკისა და ეშლი კოულის ინდივიდუალურ დასჯას ელოდნენ. ტელეჩანაწერებში კი მხოლოდ ის ჩანს, რომ ორივე გუნდის აღელვებული ფეხბურთელები ერთმანეთის გასალახად იწევენ და კიდევ ის, თუ როგორ „ურქინა“ ალფაიმ დეკიდ ბექემს, როდესაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა პენალტი ააცილა. ამბობენ, რომ ამ დროს თურქმა ინგლისელს დედა შეაგინა. შეხვედრის იტალიელმა მსჯავმ, პიერლუიჯი კოლინამ შესვენებისას, დიდი ჩხუბის მიუხედავად გამონახა დრო, რომ ეს ფეხბურთელები თავის ოთახში შეეყვანა და ეცადა დაეწყნარებინა.

საინტერესოა, რომ ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპზე ინგლისელთათვის ეს უკვე მესამე სასჯელია. ისინი 73 ათასით ამავე გუნდების პირველი შეხვედრის შემდეგაც დაისაჯნენ. პირველი შეხვედრა თურქებს და ინგლისელებს შორის სანდერლენდში გაიმართა. 10 ათასი გირვანქის გადახდა ინგლისელებს სლოვაკეთთან მატჩის თანამდევი არეულობების გამოც მოუხდათ.

პაპუნა კედია

კელის წითელი წელი

გასულ უქმეებზე „ბოხუმმა“ „ბორუსიას“ დორტმუნდში 3:0 გაატანა. სტუმართა მარცხი ასეთი მწარე ეგებ არც ყოფილიყო, სებასტიან კელი პირველივე ტაიმში რომ არ გაეძევებინათ.

ფეხბურთელის გაგდებამდე „ბოხუმი“ ერთბურთიანი სხვაობით იგებდა, მერე კი კაცნაკლულ მეტოქეს იოლად გაუსწორდა.

სებასტიან კელი მასპინძელ ტომაშ ცდებელს ეუხეშა და მსაჯმა ფროილიხმა მოედნიდან მიაბრძანა.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაში ფეხბურთელის საქციელი გაარჩიეს და დორტმუნდელს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. დისციპლინართა გადაწყვეტილების გასაჩივრება კლუბს 24 საათში შეუძლია.

23 წლის სებასტიან კელის აშკარად მძიმე წელი უდგას. მან ივლისშიც „ივაჟკაცა“. გერმანიის ლიგის თასის ფინალში მსაჯს ხელი ჰკრა და ბალახზე დასვა. მაშინ დისციპლინარებმა თვენახევრიანი დისკვალიფიკაციით „დაასაჩუქრეს“, მაგრამ წამალმა ვერ არგო და ახლა კიდევ ხუთი ტურით დაისვენებს.

სებასტიან კელი

ვაჟა ხუციშვილი

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲗᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲐᲠᲘᲫᲘ



ᲨᲐᲠᲨᲐᲜ „ᲛᲔᲡᲢᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲒᲘᲒᲝᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲛᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ, ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲔᲚᲛᲐ ᲑᲐᲠᲐᲮᲐᲛ ᲙᲘ ᲝᲠᲘ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ ᲒᲐᲘᲪᲣᲓᲐ

ᲛᲔᲡᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ

ᲣᲑᲐᲠᲐᲥᲛᲝ ᲑᲐᲠᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲝᲚᲝ

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ მეცხრე ტურში „ვალენსია“ უხერხულ მეტოქეს, მიგელ ანხელ ლოტინას გალისიურ „სელტას“ უმასპინძლებს. ამჟამად მომხედურ-დამხედურთა შორის სხვაობა 10 ქულა და ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში 12-ადგილიანი ინტერვალია. პრიმერადივიზიონის პარალელურად ორივე გუნდი ბობოლა ევროპულ ტურნირებზეც იბრძვის — „სელტამ“ შარშანდელ სეზონში წარმატებული თამაშის წყალობით პირველად თავის ისტორიაში ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, ხოლო „ვალენსია“ ოდენ „მოკრძალებულ“ უეფას თასზე მონაწილეობას დასჯერდა. „მარტოოდენ წინა პრიმერას შედეგებით ვერ დავკმაყოფილდებით. ჩემპიონატის ცხრილში მეთხუთმეტე ადგილი ჩვენთვის ნამდვილად შეუფერებელია და ოთხშაბათს „მესტალიაზე“ თუ სხვა დანარჩენ შეხვედრებში მოსაგებად და საპატიო ოთხეულში მოსახვედრად ვიომებთ“ — განაცხადა „სელტას“ დამრიგებელმა. წინა, მერვე ტურში მაშინდელმა ლიდერმა „ვალენსიამ“ „დეპორტივოსთან“ წააგო და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა, ხოლო ლოტინას შეგირდებმა სტუმრად „ესპანიოლი“ 4:0 გაანადგურეს. „მესტალიური პაემნებიდან“ რაფა ბენიტესის ხალხს განსაკუთრებით მწარედ „სელტას“ შარშანდელი სტუმრობა ახსოვს, როცა ბარახას ორი გაცუდებული პენალტის შემდეგ 90-ე წუთზე მომხვდურნი ვაგნერის საბედისწერო გოლით „დასაჩუქრდნენ“. ბოლო 10 წელიწადში ვიგოელთა ვალენსიური ლაშქრობანი ხსენებულ ფიესტის გარდა სამგზის დაზავებით დასრულდა, დანარჩენში კი ადგილობრივთათვის 3 ქულის დატოვება მოუწიათ.

ოთხშაბათის სხვა შერკინებათაგან „დეპორტივო“ — „მალიორკას“ „ბარსელონა“ — „მურსიას“ და „ოსასუნა“ — „ბეტისის“ მატჩები უნდა ეახსენოთ. ხავიერ ირურეტას გუნდი პრიმერას ახალდაპყრობილი ლიდერობის შესანარჩუნებლად ლუის არაგონესის კუნძულელთა დაჯაბენას შეეცდება. „დეპორმა“ შინაურ სარბიელზე ერთი კვირის შუალედში უკვე მოიგო საჩემპიონთალიგო ჯახი „მონაკოსთან“ (1:0) და საპრიმერო ბრძოლა „ვალენსიასთან“ (2:1). ასე რომ, კარგი შესაძლებლობა ეძლევა, ბალეარელებთან გამარჯვებით მშობლიური ინჩადა მცირე დროში სამგზის გაახაროს. „ბარსელონას“ ჯერ შინ მატჩი არ მოუგია და ალბათ ცხრილში მე-18 ადგილზე მყოფ „მურსიას“ „კამპ ნოუზე“ თუნდაც ფრეს მისაღწევად ზებუნებრივი ძალისხმევა დასჭირდება.

IX ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ

ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲡᲐ	—	ᲠᲔᲐᲚᲘ

ᲠᲝᲚᲘᲡ

ᲐᲚᲑᲐᲡᲔᲢᲔ	—	ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ
ᲑᲘᲚᲑᲐᲝ	—	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ
ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	—	ᲛᲣᲠᲡᲘᲐ
ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲕᲝ	—	ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐ
ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	—	ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲝᲚᲘ
ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐ	—	ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ
ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	—	ᲡᲔᲚᲢᲐ
ᲝᲡᲐᲡᲣᲜᲐ	—	ᲑᲔᲢᲘᲡᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲘ	—	ᲡᲝᲡᲘᲔᲓᲐᲓᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

დეპორტივო	8	7	0	1	19:6	21
რეალი	8	6	1	1	20:9	19
ვალენსია	8	6	1	1	14:3	19
ოსასუნა	8	4	2	2	10:7	14
ბეტისი	8	3	4	1	12:9	13
სოსიედადი	8	3	3	2	9:7	12
ბარსელონა	8	3	3	2	8:7	12
რასინგი	8	3	2	3	12:10	11
ბილბაო	8	3	2	3	10:8	11
სევილია	8	2	5	1	11:10	11
ვილიარეალი	8	2	5	1	10:9	11
მალაგა	8	3	1	4	9:12	10
ატლეტიკო	8	3	1	4	7:12	10
ვალიადოლიდი	8	3	1	4	11:17	10
სელტა	8	2	3	3	11:11	9
სარაგოსა	8	2	1	5	6:10	7
ალბასეტე	8	2	0	6	8:13	6
მურსია	8	1	3	4	7:13	6
მალიორკა	8	1	2	5	7:15	5
ესპანიოლი	8	0	2	6	7:20	2

ᲤᲠᲐᲜᲙ ᲠᲐᲘᲙᲐᲠᲓᲘᲡ „ᲑᲐᲠᲡᲚᲐᲛ“ „ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲘᲖᲔᲘᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲣᲠ ᲤᲘᲔᲡᲢᲐᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘ ᲠᲐᲛ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲪ ᲐᲮᲚᲓᲐ — ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲣᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲑᲠᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲡᲢᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲡ ᲔᲣᲮᲔᲨᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘᲪ ᲛᲐᲒᲐᲠ-ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲐᲛᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲗ ᲓᲐ „ᲛᲣᲠᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲝᲕᲔᲑᲘᲗ „ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲥᲠᲓᲐ“. ᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲓ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲡ ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ „ᲚᲘᲑᲠᲔᲓᲘᲠᲔᲙᲢᲝ“ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ

ᲒᲐᲑᲠᲘᲛ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ

ᲡᲐᲛᲯ ᲜᲝᲣᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ

— მოედნის იძულებით დატოვება ბალეარული შეხვედრის დამატებით დროში მოგიხდათ. ალბათ უცნაურია, როდესაც პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილ თამაშში მოგებული გუნდის ფეხბურთელი წითელ ბარათს იღებს...

— გეთანხმებით. ეს მატჩის ყველაზე უფრო სულელური ეპიზოდი გახლდათ. ჩავთვალე, რომ სტანკოვიჩთან შეჯახებისას ჯარიმა არ უნდა დაენიშნათ, მსაჯსაც ამას ეუმტკიცებდი, მაგრამ, უტყობა, ეს ზედმეტად ემოციურად გავაკეთე და პერესმაც ჩემი მინდორზე ყოფნა საჭიროდ აღარ მიიჩნია. რა თქმა უნდა, ეწუხვარ მომხდარის გამო.

— ანუ თვლით, რომ სახიფათოდ ითამაშეთ?

— უფრო ის მაწუხებს, რომ არბიტრთან ნერვები ვერ მოვთოკე, თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანია.

— სტანკოვიჩი „სან მოისის“ მატჩის მეტად აქტიური მონაწილე გამოდგა. მეორე ტაიმში მისმა ბურთაობამ „ბარსელონას“ გვარიანი საზრუნავი გაუჩინა...

— სახიფათო ფეხბურთელია. ფლანგებზე კარგად შედის და მისი გადაცემების გაშიფრვაც ნებისმიერი გუნდის დაცვის ხაზს გაუჭირდება.

— „ბარსელონას“ ძირითადში დაბრუნება, არცთუ ისე სუსტ მოწინააღმდეგესთან სტუმრად გამარჯვება და უცებ ეს ინციდენტი... ლუის არაგონესის კლუბთან საპრიმერო პაემანს საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით?

— „ბარსას“ მიღწეული შედეგით უაღრესად კმაყოფილი ვარ, პირადად ჩემი იმედღევანდელი ბედით კი ნამდვილად არა. გული მწყდება, რომ მურსიელებთან საჭირო მატჩის გამოტოვება მომიწევს.

— „მალიორკასთან“ პირველ ტაიმში ინჩასებმა ნანატრი „ბარსელონა“ იხილეს — ბურთის კონტროლი, ფლანგებიდან მწვავე იერიშები, ლამაზი თამაში — ანუ ყოველივე ის, რაც წესით და რიგით, კატალონიის მთავარ კლუბს ყველა შეხვედრაში უნდა გამოარჩევდეს...

— შაბათის შეხვედრა მართლა კარგად დავიწყეთ, მოელენებიც ისე წარიმართა, როგორც თქვენ ამბობთ და კუნძულელებმაც პირველ ტაიმში უპირატესობა სრულებით დაგვითმეს. პირველი ორი გოლიც ამის შედეგი გახლდათ. შესვენების შემდეგ კი მოედნის ცენტრში სიტუაციას ძველებურად ველარ ვაკონტროლებდით, რამაც მეტოქეს წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მისცა. ჩემი აზრით, მეორე ნახევარში „მალიორკა“ უფრო მიზანდასახულად მოქმედებდა.

— ერთი კითხვაც — რატომაა, რომ თქვენი გუნდი „კამპ ნოუს“ გარეთ ლაღად და თავისუფლად თამაშობს, მშობლიურ სტადიონზე კი ასე უცნაურად არის შებორკილი?

— ვერაფერს გეტყვით. შედეგი თქვენს ნათქვამს ადასტურებს, მაგრამ ზუსტად ამას ალბათ ვერავინ აგიხსნით. საკარაუდოდ, „კამპ ნოუს“ კედლებში ჩვენი უფერული თამაში გადამეტებული პასუხისმგებლობისა და დაძაბულობის ბრალია. როდესაც სტუმრად ვთამაშობთ, საქმეს უფრო მოთმინებით ვეკიდებით, ტრიბუნათა ფაქტორი ნაკლებად მოქმედებს და ბურთსაც იშვიათად ვკარგავთ. შინაც თუ ასე მშვიდად ვიქნებით, იქაც ვიზეიმებთ გამარჯვებას.

ᲙᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲡ ᲚᲘᲑᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲔᲤᲐᲠᲐ

ᲘᲑᲐᲜᲘᲔᲡᲘ ᲪᲝᲤᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ



ᲮᲐᲕᲘᲔᲠ ᲙᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔ

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲨᲘ მხოლოდ „ესპანიოლი“ დარჩა, რომელსაც გამარჯვება არ უგემია. ბარსელონური კლუბი შარშანაც ცუდ დღეში იყო, მაგრამ გუნდში ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ გამოსწორდა და ოცეულში ადგილი შეინარჩუნა.

ამ სეზონში „ესპანიოლმა“ კვლავ აურია. ორი ფრით და მიჯრით მიწყობილი ექვსი მარცხით კატალონიელები პრიმერადივიზიონს ქვემოდან ამოპყურებენ. ბოლო ორ მატჩში („ვალენსიასთან“ და „სელტასთან“) რვა გოლი გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს. ყველაფერი ისე აეწყო, რომ ხავიერ კლემენტე წასასვლელად ბარგს უნდა ალაგებდეს, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი დანიელ სანჩეს ლიბრე მწვრთნელის გაშვებას არ ჩქარობს.

„ახლა რადიკალური ცვლილებების დრო არაა. მართალია, მძიმე ვითარებაში ვართ, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არის. ხავიერ კლემენტეს ვენდობი და მისი განთავისუფლება ამ მომენტში შეცდომა იქნება“ — თქვა პრეზიდენტმა.

დანიელ სანჩეს ლიბრე „სელტასთან“ მატჩში მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. დაუდგენ იბანიესმა „ესპანიოლის“ ორი ფეხბურთელი გააძევა, შედეგად კი კატალონიელებმა კიდევ ერთი მარცხი იგემეს. „წაგების ერთ-ერთი მიზეზი მსაჯის არაობიექტურობა იყო. ჩვენი გუნდის ფანები იბანიესმა ისე გააცოფა, იმ სალამოს სადმე რომ ენახათ, რალაც საშინელება მოხდებოდა“ — ამბობდა ლიბრე.

ᲒᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XV ᲢᲣᲠᲘ

სან დუისი — მორელია 0:1; კრუზ ასული — პუებლა 1:0; მონტერეი — ტოლუკა 0:0; ვერაკრუსი — ნეკაქსა 3:2; ატლასი — კერეტარო 0:1; ამერიკა — ტიგრესი 2:1; ტეკოსი — გვადალახარა 2:4; ატლანტე — საგუარესი 3:0; ირაპუატო — უნამი 0:1; სანტოს ლაგუნა — პაჩუკა 1:2

ᲒᲝᲚᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. XII ᲢᲣᲠᲘ

უონდერერსი — უნივერსიდად ესპანიოლა 2:2; უანიპატო — კოლო კოლო 3:3; კოკიმბო — პალესტინო 0:2; კობრელოა — უნივერსიდად კათოლიკა 3:0; პუერტო მონტი — ოუდაქს იტალიანო 0:3; უნივერსიდად დე ჩილე — სან ფელიპე 3:1; რეინჯერსი — უნიონ კონსეპსიონი 0:6; დეპორტეს ტემუკო — კობრესალი 0:1

დევიდმა ვიქტორიაზე უკეთესები ესპანეთში იპოვა...

ცოლი ალთას, ქმარი ბალთას
რონალდომ წაიმაჯანლა

ესტერ კანანასი

მადრიდში დევიდ ბექემის ჩასვლის დღიდან იქაური ჟურნალისტები ინგლისელს კუდში დასდევენ და მისი ყოველი ნაბიჯი ვიქტორიაზე უკეთესად იციან.

ერთი თვის წინ რონალდომ დაბადების დღე გადაიხადა. წვეულებაზე ბექემიც დაპატიჟეს. ვიქტორიას ქმარი ბრაზილიელთან საღამოს ათი საათისთვის მისულა და ოთხ საათამდე გვარიანად მოულხენია.

დევიდს იუბილარი მალე დაავიწყდა, რადგან ერთ ესპანელ ლამაზმანს ეარშიყებოდა. 26 წლის ესტერ კანადასი სუპერმოდელი და მსახიობია. სწორედ მისით მოხიბლულა ბექემი და მთელი ღამის განმავლობაში ტკბილად ეჭუკჭუკებოდა, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს. ესტერი ინგლისურს ფლობს და მათ საუბარი არ გასჭირვებიათ. დრო და დრო ისე ხმამაღლა ხარხარებდნენ, რომ დანარჩენ სტუმართა ყურადღებას იქცევდნენ. თვითმხილველთა თქმით, ერთმანეთს მაგნიტებივით ეკვროდნენ. ბექემმა პირმშვენიერი ესპანელის სურნელს ვერ გაუძლო და ისინი ღამის ოთხი საათისთვის ძლივს დააშორეს. ჯერ დევიდი წასულა, ესტერი კი რონალდოს პირად მძღოლს წაუყვანია.

მკითხველს, ცხადია, აინტერესებს, სად იყო იმ დროს ვიქტორია. ცოლი რომ რონალდოსთან ყოფილიყო, განა ქმარი ამდენს გაბედავდა?

ქალბატონი ადამსი-ბექემისა დღის ცხენივით დარბის მადრიდიდან ლონდონში, ლონდონიდან ნიუ იორკში, რათა თავისი ოჯახი შეინარჩუნოს და კარიერაც არ წაახდინოს. ყველაფერი ერთბაშად და მალე უნდა, ასე კი არ გამოდის.

მის არყოფნაში დევიდს გასართობად მეტი დრო რჩება. არავის ეგონა, რომ იგი მადრიდული ღამის ცხოვრებას უცბად შეეჩვეოდა, რადგან ინგლისში ცოლის ხელკავიდან არ გამოსულა.

ბექემს პირველად მავანმა ლამაზმანმა ნურია ბერმუდესმა დაადგა თვალი, მაგრამ ინგლისური „ციხე" ვერ აიღო. ესტერთან გაარშიყების მეორე დღეს დევიდი ღამის კლუბ „ანანდაში" ნახეს, სადაც რებეკა ლოოსს ეკურკურებოდა. რებეკა მისთვის უცხო არაა, იგი ფეხბურთელს ესპანურს (ალბათ სხვა რამეებსაც) ასწავლის და ერთად სიარული ხშირად უწევთ.

20.30	06.11	დინამო ზაგრები - დნიპრო		20.30	06.11	დინამო ზაგრები - დნიპრო	
23.30	06.11	დორტმუნდი - სოშო		23.30	06.11	დორტმუნდი - სოშო	
24.00	06.11	სიტი - გროცლინი		24.00	06.11	სიტი - გროცლინი	
23.30	06.11	ბაზელი - ნიუკასლი		23.30	06.11	ბაზელი - ნიუკასლი	
23.30	06.11	ზალცბურგი - პარმა		23.30	06.11	ზალცბურგი - პარმა	
23.15	06.11	კოპენჰაგენი - მალიორკა		23.15	06.11	კოპენჰაგენი - მალიორკა	
21.30	06.11	უტრეხტი - ოსერი		21.30	06.11	უტრეხტი - ოსერი	
21.30	06.11	ბორდო - პერთსი		21.30	06.11	ბორდო - პერთსი	

ყურადღებას! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 6 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 6 ნოემბერს)

ᲔᲞᲝᲥᲐ ᲔᲯᲔᲡᲝ, 2000 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲘᲡᲛᲔᲠᲝᲜᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲐᲓᲒ.	ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ	ᲥᲣᲚᲐ
1	ვეშაპიძე გია შოთას ძე	278(31-33-31-23-28-42-39-39-44-47)
2	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	259(34-50-31-34-21-36-37-37-31-31)
3-4	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	253(31-41-26-26-26-39-31-34-41-36)
3-4	თორდია ვალერიან ვალერიანის ძე	253(31-47-31-31-26-31-26-36-33-44)
5	მამუკაშვილი პაკლე ედუარდის ძე	251(25-41-21-18-28-26-38-39-45-34)
6	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	250(34-38-36-21-15-33-29-36-44-28)
7	მელიქაური ლევან ვალერიანის ძე	249(31-41-39-13-26-28-31-45-31-31)
8	სირაძე ტარიელ ვაჟას ძე	248(42-41-26-32-18-36-31-28-38-25)
9-11	გორელაშვილი დავით გურამის ძე	247(23-35-36-34-31-31-34-36-41-30)
9-11	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	247(36-33-31-26-31-36-29-41-39-36)
9-11	წიკლაური მაია ინგურის ას	247(18-45-31-23-26-25-33-36-41-36)
12	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	246(42-39-26-29-13-41-31-36-28-23)
13	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	242(26-28-39-16-26-31-50-28-30-36)
14	ყვანია სანდრო ბესოს ძე	241(23-45-23-21-18-28-42-36-38-29)
15	ფარცვანია ფირიდონ ღუდას ძე	240(36-33-31-23-23-42-25-42-28-28)
16-18	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	239(28-44-31-34-23-25-18-36-41-25)
16-18	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	239(29-39-39-21-15-35-28-29-33-35)
16-18	სულაშვილი ეკაჟა თედოს ძე	239(31-33-34-31-18-36-36-36-31-33)
19-21	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	238(26-36-28-28-26-34-39-36-35-30)
19-21	ფაცია გიორგი მურმანის ძე	238(39-38-34-18-18-28-28-33-36-30)
19-21	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	238(31-38-28-31-23-36-39-34-28-29)
22-25	ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე	236(34-41-25-29-25-36-34-29-31-31)
22-25	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	236(39-31-26-26-26-28-28-30-44-36)
22-25	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	236(18-33-31-16-26-36-33-31-36-36)
22-25	ქუმბურიძე კახა ზაურის ძე	236(23-44-34-16-21-31-29-34-36-28)

ᲒᲔᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲛᲓᲔ 11-ᲓᲐᲜ 15 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲨᲘ, ᲐᲒᲚᲐᲫᲘᲡ ᲫᲕ. ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ (ᲑᲐᲠᲗᲚᲘ ᲞᲐᲠᲡᲐᲛᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ)

ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37.
2. მეტრო „ეკალბილის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №2
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. ფოლოების ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ავტოლიკეს წინ
5. მეტრო „ვაჟა-ფშაველა“ „ფორტე 2“
6. მეტრო „საბჭოთა“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ „ბალი ნია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ლერმონტოვი“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. ბარბანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „ბაკნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „ბაკნეს“ ჯიხური №29 (ბეკრე საადგილოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავეთი გადასატანი, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიბმული პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მუშაობენ მეტროში

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

საქართველო 12:24 ურუგვაი

28 ოქტომბერი. სიდნეი. «ოზი»

საქართველო: მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე (კაცაძე 59), ქავთარაშვილი (ხამაშურიძე 40), ჯიმშელაძე (კვირიკაშვილი 40), მოდებაძე; ზედგინიძე (კაპ), იაშვილი, ჩხაიძე, გუჯარაიძე (წიკლაური 63), მჭედლიშვილი, კოპალიანი (ნიკოლაენკო 40), დადუნაშვილი (ა. გიორგაძე 40), შველიძე

4ს: ურჯუკაშვილი, კვირიკაშვილი (3)

ურუგვაი: მანჩესა, კარდოსო, დ. აგირე (კაპ), მენდარო (პასტორე 50), ბალთაზარი, ს. აგირე, კამპომარი (ამარილო 78); კაპო, გრილე, პონტე (ბუტიერესი 56), ალზუეტა (რეინიონი 66), ბადო, ლემონი (სტორაკე 78), ლემალესი (პერესი 70), სანჩესი (ბერუტი 74)

3ლ: კარდოსო, ლამელასი, ბრინიონი; 3გ: დ. აგირე (2), მენჩასა; 1ს: მენჩასა

მსაჯი: კელვინ დიკერი (ახალი ზელანდია)

მწარე კონტინენტი ქართველებისთვის

ლელო ჩვენ, ოლოლო თქვენ, გვითხრეს ავსტრალიაში

REUTERS სიდნეიდან

საქართველო ურუგვაის დაცვის კედელში გაიჭედა

აი, ასე უსიხარულოდ დასრულდა მსოფლიოს თასი ქართველებისთვის. „ლელოებმა“ ვერ გამოიყენეს შანსი. საჭირო დროს ვერ მოიკრიბეს საჭირო ღონე და არც ხერხი ეყოთ. ქართველების ოთხივე თამაში ვნახეთ. სამწუხაროდ, ვერც ერთში დავინახეთ ვერაფერი, რითაც საქართველოს ნაკრები და მისი მეთაურები თავს გაიმართლებდნენ. ოთხ თამაშში ვნახეთ მხოლოდ შეცდომების ნიაღვარი ყველა რგოლში, ყველაფერში.

გამოცდილება, გამოცდილებაო, გავიძახით, მაგრამ როდემდე უნდა ამოვეფაროთ გამოუცდელობას?! ან ეს დალოცვილი ბურთი რაღა ქართველებისთვის იქცა ხელში ძნელად გასაჩერებელ ცხელ კარტოფილად. დარწმუნებული ვარ, საბჭოთა ჩემპიონატში მოთამაშე ქართველებს ბურთი ხელიდან არ უვარდებოდათ. ეს პირველია, რასაც რაგბიში მისულ ბავშვს ასწავლიან. მას შემდეგ ამდენს შევხვედრივართ, ვიღაცეებთან გვიომია, გაგვიმარჯვია და რა გამოდის, საქართველო მხოლოდ იმიტომ ჩავიდა მსოფლიოს თასზე, რომ მთელ დუნიას აჩვენოს, როგორ უვარდებათ ქართველ გამთამაშებლებს ბურთი?!

რაიმე ორგანიზებულობის და გონივრულობის მსგავსი მაინც შეგვენიშნა. სამოელებივით მოედნის ქარგვას ვინა სთხოვთ, ელემენტარული კომბინაციაც ვერ ააწყვეს „ლელოებმა“. სათამაშო ფანტაზიაზე და, უბრალოდ, ლამაზად თამაშზე კარგა ხანია, ხელი ჩავიქნიეთ, ფრთაზე ერთი რიცხობრივი უპირატესობის შექმნა რაღა გახდა?

ახლა, იცოცხლეთ, ბღიმად გამოჩნდება ხალხი და ბორჯღალოსნების ამ ბოლო მარცხსაც მეტოქის სიძლიერეს დააბრალებს. მაშ, კეთილი ინებეთ და მოგვახსენეთ, ვინ ითვლებოდა ამ მატჩში ფავორიტად? რა ჩვენზე დიდი ქვეყანა ურუგვაია, ჭაობისპირა მინდორზე დასახლებული ოთხიოდ მილიონი კაცი და რაგბი იქაც ფეხბურთის გერია. სარაგბო ლოგიკა იშვიათად ცდება და ლოგიკურიც იყო საქართველოს ფავორიტობა, მაგრამ ამ თამაშით ბორჯღალოსნები ურუგვაის კი არა, პარაგვაის და კაბო ვერდეს ვერ მოუგებენ.

ურუგვაი ის მეტოქეა, რომელიც უნდა დაამარცხო. კი, წიხლითაც გაჩერებს და სახეში იდაყვითაც, მაგრამ ეს რაგბია და 15 კაცს 80 წუთი აქვს საიმისოდ, რაიმე მოიფიქროს, გადალაგდეს, გადმოლაგდეს და, ბოლოს და ბოლოს, თუ სხვა გზა არაა, ხერხიანად მაინც მიაწვეს, მაგრამ გაგონილა ეს გაუთავებელი თავით კედლის განგრევა?! ვერა და ვერ დატკეპნეს ჭაობი ბორჯღალოსნებმა და მოგვცემს მათი ფრანგი მასწავლებელი გარანტიას, რომ მისი შეგირდები ამას ოდესმე შეძლებენ? ალბათ ჰოლანდიასთან შეძლებენ. ეს ერთი-ორი წელი იქნება ჩეხეთთანაც...

ეს მსოფლიოს თასი მწარე გამოცდილება იყო ბორჯღალოსნებისთვის, სამწუხაროდ, მომავალი თამაშებისთვის გამოცდილების მისაღებადაც არ გამოდგებოდა. შესაძლოა, ურუგვაისთვის გამოდგეს, ქართველებისთვის კი...

ჩვენ ყოველთვის ვქომაგობდით ბორჯღალოსნებს, ალალი და ჯიგრიანი ბიჭები არიან, კლოდ სორელიც ამაყად მოუძღოდა მათ, მსოფლიოს თასზე გაიყვანა, მაგრამ რა გამოვიდა, ავსტრალია საქართველოსთვის ჩიხი აღმოჩნდა. გამოიყვანს ამ ჩიხიდან საქართველოს კლოდ სორელი? გასწვდება ის ამ საქმეს?! ამაზე რაგბის კავშირმაც უნდა იფიქროს და იზრუნოს. ახლა არჩევანის, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების დროა. თუ არა და, ქართული რაგბი კვლავ იქნება ჯაჯგური და არა ბურთიანი თამაში.

ირაკლი ფირაზვილი

C ჯგუფი					
ინგლისი	3	0	0	+110	14
ს. აფრიკა	2	0	1	+74	10
სამოა	2	0	1	+71	10
ურუგვაი	1	0	2	-101	4
საქართველო	0	0	4	-154	0

ნამატჩევს

კლოდ სორელი

ურუგვაელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათ ყველა მომენტი გამოიყენეს და დაცვაში ძალიან კარგად ითამაშეს. ჩვენთვის ეს იყო უცუდესი თამაში მსოფლიოს თასზე. შეცდომები მეც დავუშვი და ბიჭებმაც. ასე ვიტყოდი, ამ მარცხში მწვრთნელიც და მორაგბეებიც თანაბრად არიან დამნაშავენი.

...შემადგენლობის შერჩევისას არ შევმცდარვარ. ვინც ჯანზე იყო, იმათგან საუკეთესოები ავარჩიე. ხელმეორედ რომ შემეძლოს, ივიე შემადგენლობას დავასახელებდი.

...ჯიმშელაძე იმიტომ გამოვცვალე, რომ კვირიკაშვილს თამაშის გამწვავება შეეძლო. თავიდან მან მაროლაც გაამწვავა ჩვენი შეტევები, მაგრამ მერე იმდენჯერ შეცდა, ყველაფერი წყალში ჩაყარა. ეს მისი გამოუცდელობის ბრალია.

...ცხელ გულზე ჩვენს გამოსვლას მსოფლიოს თასზე ასე შევაფასებდი — ინგლისთან შეძლებისდაგვარად კარგად ვითამაშეთ, სამოასთან მატჩი ჩავაგდეთ, სამხრეთ აფრიკასთან კარგად, ხოლო ურუგვაისთან საშინლად ვითამაშეთ.

ილო ზედგინიძე

სათქმელიც არაფერია, ურუგვაიმ პირწმინდად მოგვიგო. ვიცოდით, რომ ძლიერი შერკინება ჰყავთ, მაგრამ იმედი მაინც გვქონდა. სამწუხაროდ, ვერც ძალით ვაჯობეთ.

მალხაზ ურჯუკაშვილი

მეტოქემ ცოდნით მოგვიგო. ურუგვაიმ ტაქტიკურად ხუთიანზე ითამაშა, ყველა უპირატესობა გამოიყენა.

პალიკო ჯიმშელაძე

სამწუხაროდ, რისთვისაც ჩამოვედით, ის ვერ გავაკეთეთ. ურუგვაისთვის უნდა მოგვიგო, ამდენი უაზრო შეცდომა რომ არ დაგვეშვა. ჩემი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ, ისევე როგორც მთელი ნაკრებით.

საქართველოს ჩემპიონატი

28 ოქტომბერი. ქერის ბაღი

თსუ 39:37 მაკაბი

20:20, 17:19, 28:23, 24:19

თსუ: თორთლაძე (8), მაისურაძე (16), ნაცვლიშვილი (23), კილაძე (5), შენგელია (21); ლეფოვა (2), მარხვაშვილი (3), ვეფხვაძე (3), სანიკიძე (2), ორმოცაძე (6)

მაკაბი: ნინოშვილი (25), წოწელია (26), კონჯარია (10), ფიცხელაური, სუხიშვილი (13); ოთიურიძე (4), ვაშაკიძე (3)

მსაჯები: ლაშა თოიძე, ლია ქაჯაია

კომისარი: მურმან ქურიძე

ქუთაისი 42:105 ბასკო

10:31, 7:27, 9:23, 16:24

ქუთაისი: ბადრიძე (6), პირტახია (14), შავლაყაძე (7), ნ. შანიძე (8), კორძაძე (5); აკოლაშვილი, ცერცვაძე, კოლუაშვილი, ნიფარაძე (2), ფურცხვანიძე

ბასკო: ი. ბერიშვილი (4), ბ. ბერიშვილი (16), ტუჯანი (4), კეშელავა (20), ბერძენიშვილი (9); დ. ბერიშვილი (12), ჩხატარაშვილი (4), კვიმსაძე (6), იმნაძე (25), ბოლქვაძე (5)

მსაჯები: დავით ანდრიაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ეგაა, ბიჭო, მეგობრობა?! მაკაბიმ თსუ ანერვიულა

ფოტო ფოტოგრაფიერ

გიორგი მარხვაშვილი და მისი თსუ „მაკაბისთან“ ცოცხალ კედელს წაეჯახნენ

გუშინ ვერის ბაღში ამ ჩემპიონატისთვის სარეკორდოდ ცოტა მაყურებელი მოვიდა. ეს არც იყო გასაკვირი, ისეთი წყვილები თამაშობდნენ, გამარჯვებული წინდაწინ იყო ცნობილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „მაკაბის“ უქადდა წალეკვას, მაგრამ ძლივს იმარჯვა, „ბასკომ“ კი მართლაც დაიბრიყვა „ქუთაისი“.

თსუ რომ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ძლიერი გუნდია, თქმა არ უნდა, მაგრამ სტუდენტებს ერთი ცუდი სენი სჭირთ, სხვა ბობოლებისგან განსხვავებით, სუსტ გუნდებთან უჭირთ. საბოლოოდ თავისას მაინც აღწევენ, მაგრამ შთამბეჭდავი ანგარიშით თითქმის ვერასდროს იმარჯვებენ.

ასე იყო „მაკაბისთანაც“. მთელი თამაში ისე მიმდინარეობდა, უცხო თვალი იფიქრებდა, ესენი ტოლძალოვანი გუნდები არიანო. „მაკაბი“, როგორც ყოველთვის, ზონაში გამოკეტილიყო, რაც საიმისოდ ჰყოფნიდა, რომ მეტოქე წინ არ გაეშვა. თამაშიც თანაბრად მიდიოდა, დაწინაურებას ვერც ერთი ახერხებდა.

გამოსარჩევია ორი ჩუბინი მაკაბელი გოჩა წოწელია და იოსებ ნინოშვილი, ამათი სამქულიანების წყალობით, „მაკაბიმ“ პირველი ტაიმი 39:37 მოიგო.

განახლდა თამაში და ყველა იმას ელოდა, „მაკაბი“ როდის გატყდებოდა, მაგრამ ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი მთელი ჯიგრით იბრძოდა. არცთუ სახელიანი მაკაბელები ტოლს არ უდებდნენ არაერთ ფინალში ნამარ სტუდენტებს — დავით თორთლაძეს, კახა შენგელიას, ამოსი ორმოცაძეს და... ბოლო მეოთხედის წინ „მაკაბი“ ოდენ სამ ქულას აგებდა.

გადამწყვეტ ათწუთეულში თსუ-მ ძალები მოიკრიბა, მაგრამ როგორც კი წინ გვარიანად გაიჭრებოდა და ხალხიც იფიქრებდა, ეგაა, „მაკაბიც“ დანებდაო, სწორედ მაშინ იბომბებოდა თსუ-ელთა კალათი შორიდან. გიგი ნაცვლიშვილმა ბოლოს ერთობ იყოჩაღა და საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე სტუდენტებმა 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. არც აქ მოიხარა ქედი „მაკაბიმ“, უმალ 4 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ კლასით ძლიერ მეტოქესთან მეტს ველარ გახდა.

მომდევნო თამაში კი საცოდაობა იყო. თუმც საცოდაობა ქუთაისელებისთვის, თორემ, აბა, ბათუმელთათვის გეკითხა...

„ბასკომ“ არ დაინდო „მეგობარი“ გუნდი, ვისაც წინა სეზონში რამდენიმე კალათბურთელიც ათხოვა და საკუთარი სარბიელიც დაუთმო საშინაო მატჩების ჩასატარებლად. ყველაზე მეტად სწორედ ექსქუთაისელმა დავით იმნაძემ გამოიდო თავი და ყოველი მხრიდან უყარა ყოფილ თანაგუნდელებს.

პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში უკვე გამანადგურებელი იყო — 58:17. საინტერესოა, რომ „ქუთაისმა“ მეორე ათწუთეულში თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო და ამ მატჩზე მწერალი თითო-ოროლა ჟურნალისტის გულწრფელი სიბრალულიც დაიმსახურა.

საბოლოოდ „ქუთაისი“ 42:105 განადგურდა და 5 ქულით ასცდა აწ უკვე არარსებული „შევარდენის“ მიერ ერთ მატჩში მოგროვილი ქულების (37) ანტირეკორდს.

ირაკლი პერტაია



ფოტო ფოტოგრაფიერ ბიბლიოთეკა

ნორაირ სტეფანიანი ერევანში BMW-თი გაბრუნდა

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (FEI) საშეჯიბრო ჯალენდარში ფეხმოკიდებული ტურნირის – „კავკასიის თასის“ გათამაშებას თბილისის იპოდრომმა წლეულს მესამედ უმასპინძლა. სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მხედრები პირად და გუნდურ პირველობებში ოთხი დღის განმავლობაში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. გადამწყვეტი ბოლო ორი დღის, ორშაბათ-სამშაბათის შედეგები იყო

საქართველო კავკასიაში, სომეხი BMW-ში

19-20 წლის მხედრებით დაკომპლექტებულმა ჩვენმა ნაკრებმა, მართალია, ტურნირს ჩვენთვის სასურველი წერტილი დაუსვა და გუნდური პირველობა ზედიზედ მესამედ მოიგო, რითაც თასი სამუდამოდ საქართველოში დატოვა, მაგრამ პირად პირველობაში ახალგაზრდებს ნერვებმა უმტყუნა, კონცენტრირება ვერ შეძლეს და სასურველი შედეგიც ვერ აჩვენეს. მიზეზად პირველი ადგილისთვის დაწესებული შთამბეჭდავი პრიზი, ავტომანქანა BMW შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც გამოცდილმა სომეხმა მხედარმა ნორაირ სტეფანიანმა დაისაკუთრა. მას აქამდე ერთი მანქანა „ვოლვოს“ სპონსორობით ჩატარებულ მოსკოვის „მსოფლიო თასზე“ უკვე მოუგია და ეს ჯერ კიდევ მაშინ მოახერხა, „კავკასიის თასის“ ბოლო გათამაშებაში მოჯირითე ქართველი ცხენოსნები ანაბანას რომ სწავლობდნენ. მეორეადგილოსნის გამოსავლენად დამატებითი ტური გახდა საჭირო, რადგან სტეფანიანის თანამემამულე რობერტ ხაჩატრიანმა და ქართველმა ცოტნე ლაბაშიამ ერთნაირი ქულები დააგროვეს. გამარჯვება ამ შემთხვევაშიც სტუმარს დარჩა და ვიდეოკამერაც მოიგო, ლაბაშიას კი მესამე ადგილი და ტელევიზორი ერგო.

გუნდურში მონაწილე ოთხ-ოთხი მხედარი პირადი შედეგების მიხედვით შეირჩა. წესდების თანახმად, საერთო ჩათვლაში თითოეული გუნდიდან სამ-სამი საუკეთესო მაჩვენებელი იკრიბებოდა და გამარჯვებულიც ის ნაკრები ხდებოდა, რომელიც ჯამში ყველაზე ნაკლებ შეცდომას დაუშვებდა. ამჯერად მასპინძლებმა მშვენივრად დაძლიეს წინაღობები და თასი ისე მოიგეს, მეოთხე მხედარს, ცოტნე ლაბაშიას გამოსვლა აღარც დასჭირვებია.

FEI-ის მიერ მოვლენილი ირანელი მთავარი მსაჯი რაქ შენ რადპური და გერმანელი კურსდიზაინერი ვერნერ დიიგი ტურნირის ორგანიზაციულმა მხარემ სავსებით დააკმაყოფილა და საგაისოდ „კავკასიის თასს“ მეტი მასშტაბურობა უსურვეს. ორგანიზატორებმა კი დაადასტურეს, რომ ეს ოცნება სავსებით რეალურია და უკვე მომავალ გათამაშებაში რუსეთის, უკრაინის, თურქეთისა და რამდენიმე სხვა ნაკრების მოწვევასაც ვეგმავენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ფოტო ფოტოგრაფიერ ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალგაზრდა ნაკრები

აზმაიფარაშვილი სწრაფად ჩამორჩა

საფრანგეთის მეექვსე ღია ჩემპიონატმა სწრაფ ჭადრაკში იმდენ ძლიერს მოუყარა თავი, მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება. საფრანგეთის ჩრდილოეთით, კაპ დაგდიში 16 უძლიერესი მოჭადრაკეა ჩასული, მათგან ერთი ზურაბ აზმაიფარაშვილია, რომელმაც ნაადრევად დაასრულა ასპარეზობა.

16 მოჭადრაკე ორ ქვეჯგუფში განაწილდა და პირველ ოთხ ადგილზე გასულები პლეი ოფში ეთამაშებიან ერთმანეთს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი A ქვეჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქენი იყვნენ: მსოფლიოს ორი ჩემპიონი — რუსი ვლადიმირ კრამნიკი და უკრაინელი რუსლან პონომარიოვი, ებრაელი ბორის გელფანდი, ინგლისელი მაიკლ ადამსი, რუსი ევგენი ბარეევი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და ფრანგი ეტიენ ბაკრო.

ქართველმა შვიდი შეხვედრიდან ერთში იმარჯვა ტოპალოვთან, სამი ყაიმით ითამაშა და სამიც წააგო. აღსანიშნავია, რომ აზმაიფარაშვილმა სამიდან ორ ყაიმს მსოფლიოს ჩემპიონებთან მიაღწია, საბოლოოდ კი ევროპის ჩემპიონმა მეექვსე ადგილი დაიკავა და პლეი ოფს მიღმა დარჩა.

მეოთხედფინალიში ორი შეხვედრა გაიმართა. კრამნიკმა უნგრელ იუდით პოლგარს სძლია, ინდუსმა ვიში ანანდმა კი პონომარიოვს.

რეგულარული ჩემპიონატი

27 ოქტომბერი

ფილადელფია 5:0 მონრეალი

2:0 2:0 1:0

1:0 განიე (6), 2:0 ამონტე (9), 3:0 ჰანდზუში (23), 4:0 ლეკლერი (33), 5:0 რაგნარსონი (50)

ტორონტო 2:3 ატლანტა

1:0 0:0 1:2 0:1

1:0 რობერტსი (7), 2:0 ფიცჯერალდი (50), 2:1 საკარი (52), 2:2 კოუენი (53), 2:3 საკარი (65)



ზაზა ფაჩულია: ნბა-ში ქართველობა გასამდა

მზე ისევ დასავლეთიდან ამოვა სამჭართველო ნბა-ში

დღეს გამთენიისას ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 58-ე რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო. 6-თვიან ორომტრიალში ძველებურად 29 კლუბი გადაეშვა — 30-ე „შარლოტ ბობქეთსი“ მომავალი წლიდან ჩაერთვება საქმეში . ძლიერებმა კვლავ დასავლეთით მოიყარეს თავი. ბოლო ხუთი წელია, ჩემპიონი დასავლელი ხდება და მომავალი გამარჯვებულიც კვლავ მისისიპის იქით უნდა ვეძებოთ. „ლეიკერსი“, „საკრამენტო“, „დალასი“ და „სან ანტონიო“ — ამ ბობოლა კლუბებისგან ბევრს მოელიან. სიმართლე ითქვას, დანარჩენებს, მათ შორის აღმოსავლელებს, თითქმის არც აქვთ ფინალის მოგების შანსი.

ფინალამდე დიდი დროა და დღეს დანარჩენებზეც ვთქვათ ორ-ორი სიტყვა. ეს სეზონი ჩვენთვის წინაზე არანაკლებ საინტერესო იქნება, ნბა-ში ხომ უკვე სამი ქართველი თამაშობს.



ლარი-ლეგენდა ისევ საქმეშია

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი



ტრეისი მაკგრეიდი: ხელოვანთა მუზა

ნიუ ჯერსი ნეთსი

ბოლო ორი სეზონის უძლიერეს აღმოსავლელს კვლავაც შორს ანუ ფინალისკენ მიმავალი გეგმები აქვს. „ბადეებმა“ „მაიამიდან“ ბოლო წლებში ავადმყოფობით დაჩაგვებული ცენტრი ალონზო მურნინგი გადაიყვანეს და ოდნავ გააძლიერეს ფარქვეშეთი. მაგრამ არის პრობლემებიც. ამ შეკრულ ვუნდში განხეთქილებები დაიწყო. ჯერ იყო და, ლიდერი ჯეისონ კიდი გასული სეზონის ფინალში „ნიუ ჯერსის“ მძლეველ „სან ანტონიოში“ გარბოდა. მაგრამ როგორღაც „დაბეს“. მერე „ნეოსის“ მეორე ლიდერმა, კენიონ მარტინმა იცოტავა ხელფასი და სხვა გუნდში გაცვლა მოითხოვა.

ფილადელფია სიქსერზი

სანამ „ფილადელფია სიქსერზს“ აღენ აივერსონი ეყოლება, ამ გუნდს ყოველთვის მოსთხოვენ მინიმუმ საშუალებში ყოფნას, ანუ პლეი ოფში მოხვედრას. ჭინკა აივერსონის რაზმი სავარაუდოდ მოხვდება კიდეც იქ, მაგრამ ამ შემადგენლობით ბევრ მოწინააღმდეგეს ვერ გაიკლის. თუმცა ამ ჯაბან კონფერენციაში არც ეს გააკვირვებს ვინმეს.

ბოსტონ სელტიქსი

დასავლელმა ბობოლა „დალასმა“ არახელსაყრელ გაცვლაში ჩაითრია „ბოსტონი“, რიფ ლაფრენცის სანაცვლოდ „კელტებს“ რჩეული მეფარე ანტუან უოლკერი დასტყუა. უოლკერს ბურთის ღორს ეძახდნენ, პირდაპირ მოვალეობას, ფარქვეშ ჭიდილს გაურბის, თანაც პასი არ იცის ღა სულ ესვრისო, მაგრამ უოლკერი თამაშში საშუალოდ 8 მოხსნასთან ერთად 20 ქულაზე მეტსაც იხვეჭდა, რიფ ლაფრენცი კი ამდენიც არ ღირს.

ორლანდო მეჯიქი

„ორლანდო მეჯიქი“ კვლავ ეცდება საშუალოებიდან ლიდერებში ანაცვლებას და ჩვენც დიდი იმედი გვქონდა, ნბა-ში წლეულს გადაბარგებული ზაზა ფაჩულიაც მიაშველებდა ხელს, მაგრამ ზაზა ჯერ მთლად ვერ შეეწყო იქაურ კალათბურთს და აგერ, საგამოფენო მატჩებშიც დიდად ვერ გამოიჩინა თავი. სხვაფრივ, ფლორიდელთა ერთადერთ ვარსკვლავად კვლავ რჩება რეზინივით ელასტიური მსროლელ-ფრთა ტრეისი მაკგრეიდი.

ნიუ იორკ ნიქსი

ნიუიორკელები საშუალებში დაბრუნებაზე ოცნებობენ. „ნიქსი“ ისევ გადახალისდა და თუ ტრავმებმა არ გატეხა, ახლა მაინც შეძლებს პლეი ოფისთვის ბრძოლას. დიდი გაცვლის შედეგად „მინესოტაში“ გადაბარგებულ ლატველ სპრიუელის ადგილს ხუთეულში კიტ ვან ჰორნი დაიჭერს. ხოლო ნიუ ჯერსიდან გამოშვებული მხცოვანი აფრიკელი ცენტრი დიკემბერ მუტომბო თუ ძველებური შემართებით ჩადგა დაცვაში, „ნიქსმა“ ეგებ გააშუალოს მოგება-წაგებების ბალანსი.

ვაშინგტონ ვიზარდსი

მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ დედაქალაქელებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ თამაშების მოგება. „ვიზარდსი“ „მაიამის“ თუ შეეცილება, მხოლოდ ბოლოსწინა ადგილს.

მაიამი ჰითი

ვოვა სტეფანიას ყოფილ გუნდს წაუვიდა პატ რაილი და ამდენად ახლო მომავალში რაიმეს გამოსწორების იმედიც. ფლორიდელებს ისღა დარჩენიათ, მომავალზე იფიქრონ, გამოათავისუფლონ სახელფასო ფონდი, შეიგულონ მომავალი ვარსკვლავები და... ამ სეზონში წაგონ ბლომად თამაშები.

ცენტრალური დივიზიონი

დეტროიტ პისტონზი

სეზონთაშორის პერიოდში ავტოინდუსტრიელთა გუნდში ერთი სერიოზული ცვლილება მოხდა. „პისტონზის“ პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა დაითხოვა კარგი ახალგაზრდა მწვრთნელი რიკ კარლაილი, რათა ადგილი გამოეთავისუფლებინა „ფილადელფიიდან“ წამოსული ლარი ბრაუნისთვის. ლარი ბრაუნი დიდებული სპეციალისტია, თუმც პერსპექტიული, გონიერი კარლაილის ნაცვლად 63 წლის მოხუცის მოწვევა „დეტროიტს“ მაინც უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაეთვლება.

ინდიანა პეისერზი

ზუსტად ჯო დუმარსის მსგავსად მოიქცა „ინდიანას“ საქმეთგამრიგე, ასევე ლეგენდარული ლარი ბერდი. მან გაუშვა ძველი მწვრთნელი აიზია ტომასი და კარლაილს დაუძახა, მაგრამ განსხვავება მაინც არის. ტომასი „ინდიანას“ მთლად კარგად ვერ უძღვებოდა, ასე რომ, მისი გაშვება გამართლებული იყო. რიკ კარლაილმა კი მანამდე ჯაბან „დეტროიტს“ სუსტი შემადგენლობით ორჯერ დივიზიონის პირველობა მოუტანა და ორ პლეი ოფშიც სამი სერია მოაგებინა.

ნიუ ორლეან ჰორნეთსი

მწვრთნელთა ცვლის სენი ჯაზისა და ხმაურის ქალაქშიც შეეყარათ. „კრაზანებს“ მობეზრდათ მუდამ საშუალებში ყოფნა და თავი ამ ცვლილებით მოიტყუეს — გაუშვეს პოლ საილასი (წავიდა „კლივლენდში“) და დაუძახეს ტიმ ფლოიდს, ვისაც ნბა-ს ისტორიაში მოგება-წაგებების უარესი ბალანსი აქვს.



ლებრონ ჯეიმსმა ამერიკა გადარია

მილუოკი ბაქსი

ამ გუნდმა ერთ სეზონში თითქმის ყველაფერი გამოიცვალა. მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა და მმართველმა ერნი გრუნფილდმა სხვა კლუბებს ჩალის ფასად დაუთმეს სამივე ვარსკვლავი — გლენ რობინსონი, რეი ალენი და სემ კასელი. შემდეგ „ბაქსის“ პატრონმა, სენატორმა ჰერბ კოლმა თავად კარლი და გრუნფილდიც გაყარა და საერთოდ გადაწყვიტა, კლუბი მაიკლ ჯორდანისთვის მიეყიდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ახლა სულ ცოტა, ერთი წელი მოუწევს მეტოქეთაგან დაბრიყვებული „ხარირმების“ საწყალებელი ბღავილის მოსმენა.

ატლანტა ჰოქსი

რაც რომ ერთხელ ჩაიჩოქა, „ატლანტა“ იმის მერე ვეღარ გამარჯულა წელში. მანამდე პლეი ოფის მუდმივ მონაწილეს ოთხი წელია, ენატრება ძველი დროება და თუ სასწაული არ მოხდა — არც მოხდება — კვლავ განზე დარჩება.

ჩიკაგო ბულზი

ჩიკაგოელი „ხარები“ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოდიან ფერზე. მართალია, შარშანდელი დრაფტის ხმაურიანი სახელი ჯეი უილიამსი ერთი უღიმღამო სეზონის შემდეგ მოტოციკლით გრიალს გადაყვა — ავარიაში მოყვა და იქნებ კარიერაც დაასრულოს — მაგრამ წამოიჩიტნენ სხვა ბოკვრები ედი კარი, ტაისონ ჩანდლერი და ჯამალ კროუფორდი, ხოლო კარგი მექულე ჯალენ როუზი, ალბათ, კვლავაც არ დაიზარებს ჩიკაგოელთათვის თამაშში საშუალოდ ოცოდ ქულის გამომუშავებას. და აუცილებლად სათქმელია, „ჩიკაგო ბულზში“ დაბრუნდა ბებერი „ხარი“ სკოტი პიპენი. ამათი მიზანი კი პლეი ოფია.

ტორონტო რეპტორზი

რამდენიმე წლის წინ ბედმა ერთადერთ კანადურ კლუბს კალთა დააბერტყა და მფრინავი „დინოზავრი“ ვინს კარტერი აჩუქა. მაგრამ ეს ორი წელია კარტერი ფეხს იტკიებს და „რეპტორზმაც“ გეგმაზომიერად დაყვინთა ცხრილში. ხოლო ამოყვინთავს თუ არა, ეს ძირითადად ისევ კარტერის ფეხზე ჰკიდია.

კლივლენდ კავალიერზი

„კლივლენდი“ ხავსს ებღაუჭებოდა და ოქროს ზოდი შერჩა ხელში. ლებრონ ჯეიმსმა ამ წყალწაღებულ კლუბს უკვე ბევრი მილიონი მოუტანა. ის ჯერ ვინს კარტერიც ვერაა და მისგან უკვე მეჯიქ ჯონსონი შექმნეს, ქვეყანას ამოატრიალებსო. ვნახოთ...

დასავლეთ კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

დალას მავერიკსი

დასავლეთში ყველა ძლიერი გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა და სხვებს არც „დალასი“ ჩამორჩა. ტეხასელებმა „ბოსტონიდან“ მუქთად გადმოყვანილ ანტუან უოლკერთან ერთად კიდევ ერთი ვარსკვლავი გოლდენ სტეიტელი ანთაუნ ჯემისონი შეიმატეს. არც ეს უკანასკნელი დაუჯდათ მაინცდამაინც ძვირი — იოლადაც შეელივნენ მეორე გამთამაშებელ ნიკ ვან ექსელს, რომელმაც ეგრეც ვერ იპოვა თბილი ადგილი მზის ქვეშ. დირკ ნოვიცკი ისევ ჯანზე და მიზანზეა, სტივ ნეში და მაიკლ ფინლიც არ დაიწუნებიან. ასე რომ, „დალასი“ ახლა უფრო ძალუმად დაიძრება ჩემპიონობისაკენ.

სან ანტონიო სფურზი

ჩემპიონებმა გაჩემპიონების შემდეგ გუნდის „თილისმა“ დევიდ რობინსონი დაკარგეს. „ადმირალი“ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაგრამ „სფურზი“ ამას არ შეუსუსტებია. „მინესოტადან“ გადმოსული რადოსლავ ნესტეროვიჩი ფარქვეშ შეეხიდება მძლავრ ტიმ დანკანს, ხოლო უკვე მომწიფებული ლეგიონერები ტონი პარკერი, მანუ ჯინობილი და კიდევ სხვებიც შორიდან მოეშველებიან დანკანს.

მინესოტა ტიმბერვულვეზი

აღმოსავლეთში რომ სახლობდნენ, „მგლები“ ბარე ყველას ცხვრებივით შეჭამდნენ, მაგრამ ბინა აქეთა აქვთ და და ამაოდ ცდილობენ ვეფხვებში ანაცვლებას.



უცხოელები დირკ ნოვიცკი (ზედა ფოტოზე), ნენე ილარიო, მანუ ჯინობილი და კიდევ სხვები ზანგობას შუეთამამდნენ



ისე კი ბობოლებთან ერთად „მინესოტაც“ მოძლიერდა, კევინ გარნეტი სისხლის ფასად, მაგრამ რამდენიმე წლით კიდევ შეინარჩუნა და მას კიდევ სხვებიც ლატრელ სარიუელი, სემ კარელი და მაიკლ ოლოვოკანდი დაამატა. ხუთეულს შეავსებს ჩუბინი ვალი შჩერბიაკი. ამათში ოლოვოკანდის გარდა ყველა ოლ სტარის კალიბრის მოთამაშეა და „მგლებმა“ კბილების კრაჭუნით დაიწყეს სეზონი.

იუტა ჯაზი

ამ უბერებელი გუნდის მზე ადრე თუ გვიან უნდა ჩასულიყო. ჯონ სტოქტონის პენსიაზე გასვლისა და კარლ მელოუნის „ლეიკერსში“ გადასვლის შემდეგ „იუტა“ მეტ ჰარპრინგისა და ანდრეი კირილენკოს იმედადღა დარჩება და ბოლო 20 წელიწადში პირველად რეგულარულ ჩემპიონატში ჩარჩება.

ჰიუსტონ როკეტსი

„რაკეტები“ რამდენიმე წელია, ქვესაშუალებაში ირიცხებიან და ვერა და ვერ ელირსათ პლეი ოფი. იმედი ჯერ არ დაუკარგავთ, ეს იმედი 226-სანტიმეტრიან ჩინელ იაო მინგში სახლობს.

მემფისი გრიზლიზი

ვერა და ვერ მოიშორეს მემფისელმა „დათვებმა“. ნბა-ში მოთამაშე „სტუდენტური გუნდის“ იარლიყი. ყოველწლიურად ახალ და ახალ ნადრაფტალ ნიჭიერ ყმაწვილებს იმატებენ, მაგრამ მაინც უჭირთ აუტსაიდერთაგან ამოწერა. აღმოსავლეთში ეს საქმე, იცოცხლეთ, გაუადვილდებოდათ, მაგრამ...

დენვერ ნაგეტსი

ნიკა ცქიტიშვილის გუნდი შესამჩნევად მოძლიერდა. დრაფტში „ნაშოვნ“ ნიჭიერ კარმელო ენტონისთან ერთად თავისუფალი აგენტების ბაზრიდანაც შეიმატა რამდენიმე კარგი უკანახაზელი ანდრე მილერი, ვოშონ ლენარდი და ერლ ბოიკონსი. რაც შეეხება ფარქვეშეთს აქ მთავარი ძალაა ცქიტიშვილის კბილა ბრაზილიელი ნენე ილარიოა, რომელმაც ამ ზაფხულს სახელ-გვარი უბრალოდ ნენემდე დაამოკლა. ხოლო თუ ცენტრ მარკუს კემბისაც ჯანმრთელი სეზონი გამოუვიდა, „დენვერი“ წინა სეზონში მოგებული თამაშების (17) რიცხვს გაორმაგებს კიდეც.

წყნარი ოკეანის დივიზიონი



„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ოთხთავიანი დევია

საკრამენტო კინგზი

ეს ლაღი და გემრიელი გუნდი წინა სეზონში ტრავმებმა დაამუხრუჭა, თორემ მისგან არც ჩემპიონობა გაუკვირდებოდა ვინმეს. „მეფეები“ კვლავაც რჩებიან ფავორიტთა მოკლე სიაში და ისევ ეცდებიან პლეი ოფში რაც შეიძლება მეტი გუნდის გავლას. ახლა ისინი ნაპერაციალ კრის ვებერს ელიან, რომელიც დეკემბრამდე დააკლდებათ.

ლოს ანჯელეს ლეიკერსი

„ლეიკერსი“ შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის ამარაც აზანზარებდა ნბა-ს და ახლა ხომ მთლად მონსტრის იერი მიიღო. ამ ზაფხულს ლოსანჯელესელებმა თითქმის უფასოდ დაითრიეს 90-იანი წლების ორი სუპერვარსკვლავი კარლ მელოუნი და გერი პეიტონი. ეს ოთხი გიგანტი წინა სეზონში ჯამში თითქმის 100 ქულას იხვეჭდნენ და რაღა ახლა დაეცემათ დამბლა. მართალია, მელოუნი 40 წლისა მოყრილა და აღარც პეიტონია ახალბედა, თუმც ესენი ხომ იმ ბებერი აქლემებივით არიან, ვირის წონაზე მეტს რომ ასწევენ. ცოტა კობი ბრაიანტს აქვს პროლემები. გოგონას გაუპატიურებაში ბრალდადებულს სასამართლოებში წანწალი უწევს და სეზონს მთლად ხალისზე ვერ დაიწყებს, მაგრამ ეს ნაკლებად ადარდებთ ანგელოზების ქალაქში. ეს მასიური გუნდი სიჩქარეს რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს აკრეფს და ვაი იმას, ვინც მისთვის გზის გადაღობვას ეცდება.

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

„ბლეიზერსი“ მალე „შინაური“ გახდება ჩვენთვის. ვლადიმერ სტეფანიამ აქ შემოაფარა თავი და ახლა გუნდის ძირითად ბირთვში დამკვიდრებას ცდილობს. ვოვას არ გაუჭირდება ძირითადი ცენტრის დეილ დევისის თადარიგში ჩადგომა. მით უმეტეს, რომ „პორტლენდს“ არვიდას საბონისი დაემშვიდობა და მეფარეები შემოაკლდა. სხვამხრივ „პორტლენდი“ „მინესოტას“ დარად ზესაშუალო გუნდია. არასდროს უჭირს პლეი ოფში მოხვედრა, იქ კი გამუდმებით აგებს ვინმე უფრო ძლიერთან. ბოლო კარგი პლეი ოფი ორეგონელებს 2000 წელს ჰქონდათ, როცა დასავლეთის ფინალში გავიდნენ და იქ თითქმის მოუგეს „ლეიკერსს“, რაც ფაქტობრივად ჩემპიონობას ნიშნავდა. აღმოსავლელი ფინალისტი „ინდიანა“ ალბათ ვერ შეაკავებდა მაშინდელ „ბლეიზერსს“.

ფინიქს სანზი

უხეირო სეზონის შემდეგ „ფინიქსმა“ მოახერხა საშუალებში და პლეი ოფში დაბრუნება. ბოლო სეზონი ზღაპრულად ჩაატარა გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იპოვა „საკუთარი თავი“. აგრეთვე გაიბრწყინა ნბა-ში პირდაპირ სკოლიდან მოსულმა უხიაგმა თინეიჯერმა ამარე სტუდემაიერმაც. ახლა ეს გუნდი ოდნავ მოძლერდა კიდეც და უკან არავისთან დაიხევს.

სიეტლ სუპერსონიქსი

აი, „სიეტლი“ კი ქვესაშუალოა, სამი წელია პლეი ოფს უტრიალებს და იქ გაძრომა ვერა და ვერ მოახერხა. ამის ძირითადი მიზეზი გაუწონასწორებული შემადგენლობაა. ძირძველი სიეტლელის ნეიტ მაკმილანი განკარგულებაშია რამდენიმე საშუალო სიმაღლის ვარსკვლავი (მსროლელები და ფრთები), მაგრამ გუნდს ქრონიკულად უჭირს ფარქვეშ და არც ცქვიტი და ენერგიული გამთამაშებელი ჰყავს. „სიეტლი“ ალბათ „ჰიუსტონს“ გაუმართავს ომს დასავლეთის რვა საპლეიოფო საგზურიდან მერვესთვის.

გოლდენ სტეიტ ვორიორზი

„მეომრებს“ კარგი სეზონი ჰქონდათ, მაგრამ არც იმდენად კარგი, 9-წლიანი ყინული დაეძრათ და პლეი ოფში მოხვედრილიყვნენ. ამ ცხრას ალბათ მეათეც მიემატება, რაკი სანფრანცისკოელებმა ორი მთავარი მექუელე ანთაუნ ჯემისონი და ჯილბერტ არენასი დაკარგეს. ისინი სულ კარგავდნენ ვიღაცეებს.

ლოს ანჯელეს კლიპერსი

ეს „კლიპერსი“ ალბათ ვერასდროს ამოვა ჭაობიდან. კლიპერსელები წლების განმავლობაში აგროვებდნენ პერსპექტიულ ჯელებს, მაგრამ ამ სეზონში თითებშუა გაუვარდათ ლამარ ოდომი, ანდრე მილერი, ერიკ პიატკოვსკი და მაიკლ ოლოვოკანდი და ისევ ჩასაძირავად გაიწირნენ.



ვოვა სტეფანია „პორტლენდში“ მყუდროდ დაბინავდა

მარიუს კლაუდიუსი

მარიუს კლაუდიუსზე ამხედრებულმა რობერტ სმიტმა იმ დღეს ყველას აჯობა. ამბავი ოსლოში მოხდა. სტიპლჩეიზის მსოფლიო თასის მეორე ეტაპზედ.



REUTERS ოსლოდან



REUTERS სიდნეიდან

ეს მე ვარ — კეთი

ამ გახურებულ მსოფლიო რაგბობაში ავსტრალიელმა მორბენალმა, 400 მეტრზე ოლიმპიურმა მეოქროვე კეთი ფრიმენმა ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია გადაწყვიტა. წიგნი მის ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს.

გადასვლა ალპებზე

ალპებს სწვევია ნელსონ მანდელა — აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი დიადი კაცი, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტყოფილი და აწ მისივე სახელობის ფონდის მამა. ციურიხში მას მსოფლიო ფეხბურთის უსტაბაში, იოზეფ ბლატერი გამასპინძლებია. ეს ფოტოც საამამბოდ გადაღებულა.

REUTERS ციურიხიდან

REUTERS სტამბოლიდან

გამოუცხვეს დიდი ტორტი

ნახევარი საუკუნისა მოყრილა „ფენერბაჰჩეს" გერმანელი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი. რაკიღა კლუბს ახლა საქმეები ისე მიუდის, როგორც რომ კარგა ხანი აღარ წასულა, თურქებმაც მწვრთნელის იუბილე საგანგებოდ აღნიშნეს... ტორტსანთლების ჩაქრობაში დაუმს „ფენერის" მოთამაშე ქემალი ეხმარება.

პინგვინრბოლა

ბარსელონამ შინნაკეთ მანქანათა რბოლას უმასპინძლა. კილომეტრნახევრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად ამ პინგვინა მანქანით მოჭენავე დაუდგენელმა ტიპებმა ჩაათავეს.

REUTERS ბარსელონიდან

REUTERS ტორელავეგადან

კოცნა ტორელავეგაში

ტორელავეგა კანტაბრიული ქალაქია, კანტაბრია — ესპანური პროვინცია. ეს კაცი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ოსკარ ფრეირეა, ხოლო რაკიღა წარმოშობით ტორელავეგელი გახლავთ, ეშხიან ლაურა კობოსთან საჯვარფსკვნელად სწორედ იქაური ალაგი არჩია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხაიუკა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge